პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 92 (13774) | ოთხშაბათი, 19 აპრილი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

# გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კომუნისტების მრავალმილიონიანი არმიის სახელით ძმურ კომუნისტურ სალამს გიძღვნით თქვენ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობის დელეგატებს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყველა წევრს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს, გისურვებთ წარმატებებს ყრილობის მუშაობაში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, რომელმაც შეითვისა გერმანიის მუშათა მოძრაობის საუკეთესო რევოლუციური ტრადიციები, თავისი ქვეყნის პირობებში შემოქმედებითად იყენებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას და მსოფლიო სოციალიზმის გამოცდილებას, მტკიცედ მიუძღვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს სოციალისტური გზით, მაღლა უპყრია მთელი გერმანელი ხალხის მომავლის დროშა.

თქვენმა პარტიამ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ამხილებენ იმპერიალისტთა პროვოკაციებსა და ცდებს ხელი შეუშალონ სოციალიზმის მშენებლობას, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობიდან VII ყრილობამდე განვლილ პერიოდში მოიპოვეს დიდი წარმატებანი რესპუბლიკის სამეურნეო, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ამ მიღწევებს ახლა სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს აშკარა მტრებიც კი ვეღარ უარყოფენ. ჩვენ გვჯერა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოოპერირებული გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია თავისი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის ხელმძღვანელობით პირნათლად გადაწყვეტენ გერმანიის მიწა-წყალზე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანებს.

საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ იმ თვალსაჩინო წვლილს, რომელიც გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მშრომელებს შეაქვთ ევროპის კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლაში დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის, რევანშიზმისა და ნეონაციზმის საშიში კერის წინააღმდეგ, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების საქმის გამარჯვებისათვის.

დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის დამყარდა და ვითარდება ნამდვილი ძმობის, სრული ნდობის ურთიერთობა, ურთიერთგაგება და ერთიანობა თანამედროვეობის ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრისადმი მიდგომაში, რაც მტკიცე გარანტიაა იმისა, რომ კიდევ უფრო აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა ჩვენი ხალხებისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია სოლიდარული არიან თავიანთ მოქმედებაში, რომლის მიზანია სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცება. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მოძმე პარტიების გაერთიანებული მეცადინეობა უზრუნველყოფს მთელი პროგრესული, რევოლუციური ძალების შემდგომ კონსოლიდაციას და ჩვენი საერთო დიადი საქმის გამარჯვებას.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ წარმატებებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის, თქვენი ხალხის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში. დარწმუნებული იყავით, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში თქვენთან ყოველთვის იქნებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი.

გაუმარჯოს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობა!

გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობასა და შეკავშირებას!

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე მოძღვრებას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

# წინასაამაისო დღეებში

## ზეგეგმითი შენადნობები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა მარტში აღმავლობით იმუშავა. ასეთივე ტონობით ზეგეგმითი ძვირფასი შენადნობები გამოუშვა პირველი საამქროს კოლექტივმა, დაზოგა 783.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ნედლეული და დამხმარე მასალები. თავდადებულად შრომობენ სოციალისტური შრომის გმირის ზ. მელქაძის ცვლა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ზ. ბუცხრიკიძის, ვ. ყანჩაველის, ლ. ჰიპაშვილის, გ. ფერაძის და ლ. კობახიძის ბრიგადები.

მაღალნაყოფიერად შრომობს აგრეთვე მესამე საამქროს კოლექტივი, რომელმაც დიდძალი ზეგეგმითი ელექტროლიტური ლითონური მარგანეცი გამოუშვა, თვითღირებულება 15 პროცენტით შეამცირა, 200.000 კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია დაზოგა.

მეტალურგები ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ საიუბილეოდ და საპირველმაისოდ.

## მოგებაც, რეალიზაციაც

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა ჩვენი ქვეყნის ერთი უნიკალური საწარმოთაგანია. აქ დამზადებული 50 სახელწოდების აქტინომეტრიული და ჰიდრომეტრიული ზუსტი ხელსაწყოები ფართოდ იგზავნება არა მარტო საბჭოეთის სხვადასხვა მხარეში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. თბილისური ხელსაწყოები ყოველთვის გამოირჩევა დამუშავების მაღალი კულტურითა და ხარისხით.

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ქართველი ხელსაწყოთმშენებლები წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავიდნენ. პირველი კვარტალის პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმები აქ 100,5 პროცენტით შესრულდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება სამი პროცენტით უფრო მეტად არის შემცირებული, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. აქ ფართოდ ჩაღდება საშაისო სოციალისტური შეჯიბრება.

## [illegible]

წყალტუბო. (საკ. კორ.). [illegible] პირველი კვარტალის დავალება ვადაზე ერთი კვირით ადრე შეასრულა და 45 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 100 ათასი მანეთის ქიმიური ნაწარმი.

წყალტუბოელ ქიმიკოსთა ნახელავი მთლიანად პირველი ხარისხისაა. აქ თვითღირებულების შემცირებით 15 ათასი მანეთი ეკონომია გასწიეს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ამაღლებისათვის. აამაღლეთ წარმოების ეფექტიანობა, უკეთ გამოიყენეთ კაპიტალური დაბანდებანი, უფრო სწრაფად აითვისეთ ახალი სიმძლავრენი!

საპირველმაისო მოწოდებებიდან.



სურათზე: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფართო მოხმარების საქონლის საამქროს პოლიტინფორმატორი ლალი ბაგოშიძე (მარცხნიდან მეორე) სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებების შესახებ ესაუბრება მუშებს ვენერა ჰელიძეს, ნანი გაჩეჩილაძეს და ქეთევან რეხვიაშვილს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მეფეხსაცმელეთა წარმატება

☐ საიუბილეო შრომით ვახტზე წარმატებით იბრძვის თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი. აქ პირველი კვარტალის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული. გათვალისწინებული 183 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად მომხმარებელმა მიიღო 195.300 მანეთის ფეხსაცმელი. აღსანიშნავია ის, რომ მეფეხსაცმელეებმა ამავე პერიოდში შეძლეს გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით სამი პროცენტის გადამეტებით შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება, რითაც მიიღეს ოცი ათასი მანეთის ეკონომია.

წელს ფაბრიკის კოლექტივი მომხმარებელს მიაწვდის მაღალი გემოვნებით შესრულებულ, თანამედროვე სტილის 26 ახალი მოდელის ფეხსაცმელს.

ახლა ფაბრიკის ბრიგადებსა და საამქროებში იშლება სოცშეჯიბრი პირველი მაისის დღესასწაულის ღირსეული შეხვედრისათვის.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

## გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობაზე 1967 წლის 18 აპრილს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის სახელით, ყველა საბჭოთა კომუნისტისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ჩვენი დელეგაცია მხურვალედ და ძმურად მიესალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობას, პარტიის ყველა წევრს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს!

თქვენი პარტიის ყრილობაზე, რომელიც კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის იბრძვის მარქსისა და ენგელსის სამშობლოში, ალბათ თვითეული კომუნისტი განსაკუთრებულ მღელვარებას განიცდის. ეს გასაგებიც არის — განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა დიადი იდეები, რომლებიც გაამდიდრა ოქტომბრის გამოცდილებამ, სოციალისტური მშენებლობის მსოფლიო გამოცდილებამ, ახლა წარმატებით ხორციელდება მათს სამშობლოში — გერმანიის მიწა-წყალზე.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის კომუნისტებს აკავშირებთ დიდი ხნის მეგობრობა, სოლიდარობა და ძმობა. იმათ რიგებში, ვინც ოქტომბრის რევოლუცია მოახდინა და სამოქალაქო ომის ფრონტებზე იბრძოდა, ჩვენი გერმანელი კლასობრივი ძმებიც იყვნენ. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს გერმანიის პროლეტარიატის რევოლუციურ გამოსვლებს, რომელმაც დიდი ოქტომბრის შემდეგ აღმართა პროლეტარული რევოლუციის წითელი დროშა, საბჭოთა რუსეთთან სოლიდარობის დროშა. ჩვენი პარტიის დამაარსებელი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი ლენინი იმ წლებში ამბობდა, რომ გერმანიის პროლეტარიატის სახით ჩვენ გვყავს „რუსეთისა და მსოფლიოს პროლეტარული რევოლუციის ყველაზე ერთგული, ყველაზე საიმედო მოკავშირე".

გერმანელ კომუნისტთა საბრძოლო მოწოდება — „როტ ფრონტ!" — ერთ დროს მთელი მსოფლიოს რევოლუციონერთა ნამდვილი ინტერნაციონალური პაროლი იყო. ამ მოწოდებით იბრძოდნენ კლასობრივ ბრძოლებში გერმანელი კომუნისტები, ფაშიზმისა და რეაქციის იერიშებს იგერიებდნენ ავსტრიის რევოლუციური მუშები. ამ მოწოდებით იბრძოდნენ ინტერნაციონალური ბრიგადები მადრიდისა და გვადალახარის მისადგომებთან. ეს სიტყვები ისმოდა, როგორც ჩვენი დიადი იდეალებისადმი ერთგულების ფიცი იმ წლებშიც კი, როცა გერმანია წალეკა ფაშიზმისა და შოვინისტური ფსიქოზის ბინძურმა ტალღამ. ინტერნაციონალიზმის იდეებით აღზრდილი მრავალი ათასი მტკიცე, თავდადებული ანტიფაშისტი, გამოწრთობილი რევოლუციონერი უთანასწორო პირობებში გმირულად იბრძოდა თავისი და სხვა ხალხების თავისუფლებისათვის, რომლებიც ჰიტლერელებმა დაიმონეს.

გერმანიის მუშათა კლასის რევოლუციური ტრადიციები მტკიცე საფუძვლად დაედო ყველაზე დიად მის მიღწევას — რევოლუციის გამარჯვებას და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მთელი მსოფლიოს მარქსისტ-ლენინელები ჯეროვნად აფასებენ ამ ისტორიულ მონაპოვრებს, და კარგად ესმით, თუ რა რთულ პირობებში იყო მოპოვებული ეს წარმატებანი.

სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტურ რევოლუციათა გამოცდილებამ მრავალგზის ცხადყო, რომ მას შემდეგაც, რაც მუშათა კლასი ხელისუფლებას მოიპოვებს და საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნას შეუდგება, მის წინაშე წამოიჭრება ხოლმე რთული პრობლემები. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზია მას შემდეგაც რაც დაკარგავს პოლიტიკურ ძალაუფლებას, კიდევ დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებს ძლიერ პოზიციებს. საქმე ეხება არა მარტო თვით დამხობილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობას, არამედ იმ ჩვევებისა და ტრადიციების უზარმაზარ ტვირთს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ძველ საზოგადოებაში და რომელთა მოშორება ადვილი როდია.

ასეთ პრობლემებს სოციალისტური რევოლუცია თვითეულ ქვეყანაში აწყდება. მაგრამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეს პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ იდგა და განსაკუთრებით რთული იყო. ისე მოხდა, რომ ჯერჯერობით გერმანიაში სოციალიზმმა მთელ მის ტერიტორიაზე როდი გაიმარჯვა. ეს კი ნიშნავდა, რომ დამხობილი კლასების წინააღმდეგობას შიგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაემატა მთელი ძალა წინააღმდეგობისა, რის გაწევაც შეეძლო ბურჟუაზიას, რომელმაც ხელისუფლება შეინარჩუნა დასავლეთ გერმანიაში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის მთელი ისტორია განუწყვეტელი ბრძოლაა დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტთა პოლიტიკური ზეგავლენისა, პროვოკაციებისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ. და განა მარტო დასავლეთ გერმანიისა? გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ყოველნაირად უჭერდა მხარს და აქეზებდა იმპერიალიზმის მთელი ბანაკი, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები.

იმპერიალიზმის ძალების შეტევას დაუპირისპირდა თქვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა მაღალი რევოლუციური შეგნება, მათი ურყევი სიმტკიცე და ბრძოლისადმი მისწრაფება. მათი უნარი დაძლიონ ყველა დაბრკოლება დასახული მიზნის მიღწევის გზაზე. სოციალისტური მშენებლობის წარმატებას უზრუნველყოფდა უნარიანი ხელმძღვანელობა და პრინციპული მარქსისტულ-ლენინური ხაზი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ნაცადი ავანგარდის — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც ხელმძღვანელობს გერმანიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, გერმანიის მუშათა კლასის სახელოვანი შვილი ამხანაგი ვალტერ ულბრიხტი. თავისი მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტზე დაყრდნობით და მოძმე სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი მხარდაჭერით, მსოფლიოში პირველმა გერმანელ მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ მოიპოვა ისეთი ძალა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა წარმატებით დაეძლია მრავალი სიძნელე და მტკიცედ ევლო წინ სოციალიზმის გზით.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტურ მშენებლობას ძალიან დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. გერმანიის მიწა-წყალზე, სადაც გადის ორი ევროპის — სოციალისტური და კაპიტალისტური ევროპის საზღვარი, განსაკუთრებით მწვავე ფორმებით ჩაღდება ორი სისტემის შეჯიბრება. აქ სოციალიზმი და კაპიტალიზმი, შეიძლება ითქვას, პირისპირ შეეჯახნენ ერთმანეთს.

ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ამ ისტორიულ შეჯიბრებაში ჩაება ისეთ პირობებში, როცა ამ ქვეყნის ძირითადი ეკონომიური პოტენციალი, ადამიანთა ძირითადი რესურსები დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. და მიუხედავად ამისა, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ორი სისტემის შეჯიბრებაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტურმა წყობილებამ უდავო გამარჯვებები მოიპოვა.

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უზრუნველყო ეკონომიკის ზრდის უფრო სწრაფი ტემპები, კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ მშრომელებს მისცა ისეთი სოციალური სიკეთენი, რომლებიც ყველაზე მდიდარ ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც კი არ არის. არის შეჯიბრების კიდევ ერთი ასპექტი, რომლის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძნელია. თუ თვალს გადავავლებთ გერმანიის ისტორიას, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ სოციალური უსამართლობისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის გარდა გერმანელ ხალხს განსაკუთრებით ტანჯავდა ისეთი საშინელი უბედურება, როგორიც არის ფაშიზმი და მილიტარიზმი, მონოპოლისტური ბურჟუაზიის ყველაზე მახინჯი ნაშიერი.

სოციალიზმის ისტორიული უპირატესობა განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა სწორედ ომისა და მშვიდობის საკითხში. ფაშიზმისა და ომის საშინელების განმეორებისაგან გერმანელი ხალხის, მთელი ევროპის ხალხთა დაცვის საკითხში, მხოლოდ სოციალისტურმა წყობილებამ შეძლო უზრუნველეყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარება მშვიდობისა და დემოკრატიის გზით, სამუდამოდ დაეხშო არა მარტო ფაშიზმის, არამედ აგრეთვე მილიტარიზმის აღორძინების, ახალი სამხედრო ავანტიურების გზა. ამას სოციალიზმის უბოროტესი მტრები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველაზე პირწავარდნილი მოძულენიც კი ვერ უარყოფენ.

დემოკრატიულ გერმანიაში მოკლე დროის მანძილზე მოსპეს ბოლო მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც ჰიტლერიზმმა დატოვა ადამიანთა სულში, მათს შეგნებასა და მორალში, რომ აღარაფერი ვთქვათ ფაშიზმის მატერიალური ფესვების — იმ მსხვილი მონოპოლიების ბატონობის ლიკვიდაციაზე, რომლებმაც ნაციზმი ასაზრდოვეს. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გამოაცხადა მშვიდობა გერმანელი ხალხისათვის, მშვიდობა გერმანიის ყველა მეზობლისათვის, მშვიდობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის, ევროპის საზღვრების ურყევობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა ევროპის უშიშროების ერთ-ერთი დიდი ფაქტორი, ევროპაში მშვიდობის ბურჯი, განიმტკიცა პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე.

სხვა გზით ვითარდება დასავლეთი გერმანია, რომელშიც კვლავ მონოპოლისტური კაპიტალი ბატონობს. მისი კურსი მსოფლიო ასპარეზზე შეიცავს გერმანიის იმპერიალიზმის ტრადიციული პოლიტიკის დიდი ხნის ნაცნობ ნიშნებს. ეს არის მისწრაფება აგრესიისა და ტერიტორიების დაპყრობისადმი, ეს არის დაყრდნობა სამხედრო ძალაზე, რაც მილიტარიზმის მძაფრ განვითარებას იწვევს. ეს არის აღვირახსნილი ნაციონალიზმი, რომელიც გარდუვალად ქმნის საერთაშორისო დაძაბულობასა და ომის საფრთხეს. ეს არის ანტიკომუნიზმი, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკად აღიარეს. ბოლოს, ეს არის ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკა ეგრეთწოდებული მესამე სამყაროს ხალხების მიმართ. განა ბონის საგარეო პოლიტიკის ნამდვილ არსს არ ააშკარავებს მისი ისეთი მოქმედება, რომ მხარს უჭერს ამერიკელ იმპერიალისტთა სისხლისმღვრელ ომს ვიეტნამში, რომ ეხმარება პორტუგალიელ კოლონიზატორებს და უძმობილდება სამხრეთ აფრიკისა და როდეზიის რასისტულ რეჟიმებს?

არანაკლებ დამახასიათებელია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგანი განვითარებაც. იქ არსებობს და აქტიურად მოქმედებს ასობით სხვადასხვაგვარი მილიტარისტული, რევანშისტული ორგანიზაციები.

კვლავ წამოყო თავი ნაციზმმა, რომლის ოფიციალური წარმომადგენელია ახლა ეგრეთწოდებული ნაციონალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიის მეთაურები ამრავლებენ „მიხაკისფერი ჭირის" ბაცილებს, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას დასავლეთ გერმანიის დღევანდელ საზოგადოებაში. ეს ადამიანები აშკარად მოუწოდებენ „გადასინჯონ ჰიტლერის დამარცხების შედეგი". აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ამ პარტიის საქმიანობას ერთობ შეწყნარებით ეკიდება, და უნდა ითქვას, წყალობის თვალითაც კი უყურებს.

სულ სხვაგვარად ეკიდებიან ბონში დასავლეთ გერმანიის პროგრესულ ძალებს. მათ წინააღმდეგ რეპრესიები და დევნა არ წყდება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საშინაო-პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფაქტია გერმანიის კომუნისტური პარტიის საქმიანობის აკრძალვა, პარტიისა, რომელიც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ნაცადი მებრძოლი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესების ერთგული დამცველი და გამომხატველია. გერმანიის კომუნისტური პარტიისადმი დამოკიდებულება ყველაზე უკეთ გვიჩვენებს ბონური „დემოკრატიის" ნამდვილ სახეს, რომელსაც ბრმად გადააქვს ჰიტლერული რეჟიმის ყველაზე მახინჯი თვისებები!

ორი გერმანული სახელმწიფოს განვითარების პოლიტიკური შედეგები დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რომელ მათგანს შეუძლია ნამდვილად გამოხატავდეს და იცავდეს გერმანელი ხალხის ინტერესებს, გერმანიის მიწა-წყალზე ჭეშმარიტად მშვიდობისმოყვარე, ჭეშმარიტად

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# აფხაზეთის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრება

სოხუმი. (საკ. კორ.). გუშინ გაიმართა აფხაზეთის პარტიულ-საბჭოთა აქტივის კრება.

კრებაზე მოხსენებით — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით მშრომელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების შესახებ" — გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: სოხუმის საზღვაო ნავსადგურის უფროსი რ. ეშბა, პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი ს. ალანია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი გ. ძიძარია, პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ქვარანძია, სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ბ. თარბა, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. შარტავა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ოტირბა, პარტიის სოხუმის რაიკომის პირველი მდივანი ვ. კოკაია, პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი ი. ამიჩბა, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ნ. აკაბა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. თარბა, გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ბერბერიანი, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინტბა.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია რეზოლუცია.

# მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 17 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. მოლომჟამცი. დელეგაცია გაეცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის გამოცდილებას.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ბ. ჩიმიდი, პ. შაგდარსურენი, ბ. ოჩირბატი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ც. ბურბადამი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე მ. ლუვსანცერენი და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

# მინისტრების საუბარი

18 აპრილს ერაყის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ადნან ალ-პაჩაჩი ეწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

ა. ა. გრომიკოსა და ადნან ალ-პაჩაჩის შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა. საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ერაყის მეგობრული ურთიერთობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემები. (საკდესი).

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის მრეწველობის ერთ ერთი უხუცესი მუშაკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის დირექტორი

გიორგი მოსეს-ძე ბარამიძე

და ღრმა სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა დიდი წვლილია მთელი გერმანელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში, წვლილია ჩვენს საერთო ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. სწორედ ამაშია, ძვირფასო გერმანელო ამხანაგებო, თქვენი ბრძოლისა და თქვენი შრომის საერთაშორისო მნიშვნელობა!

პატივი და დიდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებსა და ყველა მშრომელთ, რომლებიც მტკიცედ და შეურყევლად მიდიან სოციალისტური გზით, მაღლა უჭირავთ მთელი გერმანიის მომავლის დროშა, მშვიდობისა და სოციალიზმის დროშა!

პატივი და დიდება გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, რომელიც ღირსეულად განაგრძობს გერმანელი ხალხის საუკეთესო შვილების, გამოჩენილი გერმანელი რევოლუციონერების — კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის, ავგუსტ ბებელისა და ვილჰელმ ლიბკნეხტის, კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის, ერნსტ ტელმანისა და ვილჰელმ პიკის საქმეებს!

ამხანაგებო! გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის მოხსენება შეიცავენ მკაფიო, დამაჯერებელ მონაცემებს იმ წარმატებათა შესახებ, რომლებიც მოპოვებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში, ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის შემდეგ.

მტკიცე ნაბიჯით მიიწევს წინ რესპუბლიკის ეკონომიკა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ წლითიწლობით ჩქარდება ტექნიკური პროგრესი, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. პარტიის ეკონომიური პოლიტიკის, მეურნეობრიობის უფრო სრულყოფილი ფორმებისა და მეთოდების მეოხებით უმჯობესდება წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები. ტემპებს აძლიერებენ ტექნიკურად ყველაზე მოწინავე მრეწველობის დარგები.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოთხჯერ და მეტად გაიზარდა სამრეწველო წარმოება. თითქმის 3-ჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, სამჯერ და მეტად გადიდდა ეროვნული შემოსავალი. ეს მჭევრმეტყველური ციფრებია, ამხანაგებო. ისინი მოწმობენ, თუ რა უდიდეს შესაძლებლობებს შეიცავს წარმოების სოციალისტური წესი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის ამ მიღწევებს, ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თქვენ გადალახეთ სიძნელეები და შექმენით ერთიანი, დაბალანსებული კომპლექსური მეურნეობა მრეწველობის ყველაზე ეფექტიანი თანამედროვე დარგებით, მეურნეობა, რომელსაც შეუძლია წარმატებით ვითარდეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნების შესაბამისად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები კულტურის განვითარების, სახალხო განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში შეშურდებოდათ როგორც დასავლეთ გერმანიის მშრომელებს, ისე ბევრი სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელებსაც.

თუ ასეთი შედეგები მოიპოვეს მაშინ, როცა ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირეული გარდაქმნა ხდებოდა, სრულიად უეჭველია, რომ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობანი გადაეშალა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ახლა, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების ეტაპზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების ხანგრძლივი პერიოდის ფართო პროგრამა სრული საფუძვლით იპყრობს დიდ ყურადღებას. ეს პროგრამა ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარების სწრაფ ტემპებსა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე თანამედროვე მიღწევების დანერგვას. ამ პროგრამას საფუძვლად უდევს ტექნიკური და ეკონომიური პროგრესის პერსპექტივების მეცნიერული პროგნოზი და შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების შესაძლებლობათა გათვალისწინება. ჩვენ თქვენთან ერთად გვწამს, რომ ნამდვილად განხორციელდება ის დიდი ამოცანები, რომლებსაც პარტიასა და ხალხს უსახავს თქვენი ყრილობა. თქვენ მიერ დასახული განვითარების პერსპექტივა კიდევ ერთხელ მოწმობს სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს ძალასა და სიმტკიცეს.

საბჭოთა კომუნისტები სხვა საზღვარგარეთელ ძმებთან და მეგობრებთან ერთად სულით და გულით გისურვებენ, ძვირფასო ამხანაგებო, დიდ წარმატებებს ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში.

ამხანაგებო! ორი გერმანული სახელმწიფოს პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ეხება, უწინარეს ყოვლისა, გერმანელთა ინტერესებს. მაგრამ ევროპის ყველა ხალხისთვისაც სულ ერთი როდია, რა კურსს ადგას თვითეული ეს სახელმწიფო. და თუ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები დაადგნენ გერმანული მილიტარიზმის ტრადიციული პოლიტიკის გზას, მათ არ უნდა უკვირდეთ, რომ ასეთ პოლიტიკას მზარდ წინააღმდეგობას უწევენ მსოფლიო ასპარეზზე და უწინარეს ყოვლისა ევროპაში.

როგორც ეს ხშირად მოსდით რეაქციულ კლასებს, დასავლეთ გერმანიის მმართველი ბურჟუაზიის მოქმედება კვლავ და კვლავ ამტკიცებს, რომ მან ვერაფერი ვერ შეიგნო და ვერაფერი ვერ ისწავლა. მას არა სურს შეიგნოს, უწინარეს ყოვლისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ახალი პირობები, მოხდა ღრმა ძვრები ევროპისა და მთელი მსოფლიოს ძალთა თანაფარდობაში. მას არა სურს ანგარიში გაუწიოს იმ რეალობებს, რომლებიც ასახავენ ამ ძვრებს და რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ ახალ პოლიტიკას, რომელიც უნდა ემყარებოდეს არა ძალას, არა სამხედრო შანტაჟსა და აგრესიულ პრეტენზიებს, არამედ სხვა ხალხთა ინტერესებისა და უფლებების პატივისცემას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების აღიარებასა და მტკიცედ დაცვას.

ყველაზე მწვავე „ცივი ომის" დროიდან მემკვიდრეობით მიღებულ რევანშისტულ, ანტიკომუნისტურ კურსს დაუპირისპირდა ევროპისა და მთელი მსოფლიოს რეალური ვითარება, ევროპის ხალხთა ინტერესები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კრიზისი იმდენად გაღრმავდა, რომ მას ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოებიც კი ემიჯნებიან. შეიქმნა საფრთხე, რომ ბონი სრულ პოლიტიკურ იზოლაციაში მოხვდეს კონტინენტზე. ბონის პოლიტიკა ყრუ ჩიხში მოექცა.

სწორედ ასეთ პირობებში დასავლეთ გერმანიაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ახალი მთავრობა — ეგრეთ წოდებული „დიდი კოალიციის" მთავრობა.

ბუნებრივი იყო გვეფიქრა, რომ იგი შეეცდება გადალახოს კრიზისი, რომელიც მის წინამორბედთა პოლიტიკურმა კურსმა წარმოშვა. მით უმეტეს, რომ ამ მთავრობაში მონაწილეობენ თვალსაჩინო წარმომადგენელნი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომელიც დასავლეთ გერმანიის მშრომელთა პარტიას უწოდებს თავის თავს.

უნდა ითქვას, რომ ახალ ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ ბონში, არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მზად არიან განახორციელონ „ახალი პოლიტიკა". მთელი რიგი დიპლომატიური ნაბიჯებიც კი გადადგეს, რათა ეჩვენებინათ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს გააუმჯობესოს ურთიერთობა ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანასთან. ბონის პროპაგანდისტულმა მანქანამ ამასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივი ხმაური ატეხა, ცდილობდა ისე დაეხატა საქმე, თითქოს დასავლეთ გერმანიასაც, ბოლოს და ბოლოს, უკვე შეაქვს თავისი წვლილი საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციის საქმეში, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფაში.

მაგრამ ყველამ, ვისაც სჩვევია პოლიტიკა შეაფასოს არა სიტყვების, არამედ რეალური ფაქტების საფუძველზე, დაინახა, რომ ბონის ეგრეთ წოდებული „ახალი კურსი" მხოლოდ ტაქტიკური მანევრია. ამისათვის კი საკმაო საფუძველი არსებობს.

მართლაც, რას გვეუბნება ფაქტები? ოცი წლის მანძილზე დასავლეთ გერმანიაში სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ყველაზე მძვინვარე იმპერიალიზმის პოზიციების განმტკიცება, მისი სამხედრო ძლიერების აღდგენა. თავისი არსებობის ყველა წლის მანძილზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აცხადებს პრეტენზიებს სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, მოითხოვს საზღვრების შეცვლას ევროპაში, პრეტენზიას აცხადებს დასავლეთ ბერლინზე — განსაკუთრებული სტატუსის ქალაქზე, რომელსაც საერთო არა აქვს რა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

მთელი ამ წლების მანძილზე დასავლეთ გერმანიის მმართველნი აყენებენ სრულიად აბსურდულ პრეტენზიას, ისე უჭირავთ თავი, თითქოს ისინი არიან „მთელი გერმანელი ხალხის" წარმომადგენელნი. ეს პრეტენზია, რომელსაც, როგორც ყველასათვის აშკარაა, საერთო არა აქვს რა რეალურ ვითარებასთან, ალბათ კომიკური იქნებოდა, რომ არ გამოხატავდეს აგრესიულობას, რომ არ გამოხატავდეს მეორე გერმანული სახელმწიფოს — გერმანელ მშრომელთა მშვიდობისმოყვარე სოციალისტური სახელმწიფოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენული უფლებებისა და ტერიტორიის ხელყოფას. ეს კი უკვე სახუმარო აღარ არის, ეს უკვე ფაქტორია, რომელიც მუდმივ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში. მრავალი წლის მანძილზე დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოსა და სამხედრო მანქანის ხელმძღვანელებს თავიანთ ერთ-ერთ მთავარ მიზნად მიაჩნიათ უზრუნველყონ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის ამა თუ იმ ფორმით ხელმისაწვდომი გახდეს ადამიანთა მასობრივი მოსპობის ყველაზე მძლავრი საშუალება — ატომური იარაღი.

ყოველივე ეს აბრკოლებდა და აბრკოლებს ევროპის უშიშროების სისტემის შექმნას, ევროპაში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ დასავლეთი გერმანია მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების მთავარი მტერია.

ისმება კითხვა, მაშ რა შეიცვალა დღეს? რომელ ამ გადამწყვეტ საკითხში შემობრუნა კიზინგერ-ბრანდტის მთავრობამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კურსი რევანშისა და საომარი მზადების ორიენტირებიდან ევროპის ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისა და უშიშროების განმტკიცების მიზნებისაკენ? — პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — არც ერთ საკითხში.

მთელი თავისი რეალური შინაარსით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკა ჯერჯერობით კვლავ ისეთია, როგორიც იყო დღემდე: რევანშის პოლიტიკა, მილიტარიზმის პოლიტიკა, პოლიტიკა, რომელიც უარყოფს რეალურ მდგომარეობას ევროპაში, ხელყოფს სხვა სახელმწიფოთა და ხალხთა უფლებებსა და ტერიტორიებს, პოლიტიკა, რომელიც უარყოფს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ნორმებს.

და ამის შემდეგ ბონში ცდილობენ დაგვარწმუნონ, თითქოს ამგვარი პოლიტიკა „გამოხატავს ყველა გერმანელის ინტერესებს"! თუ საქმე ამაზე მიდგა, იგი გამოხატავს დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიის მხოლოდ ყველაზე აშკარა რეაქციული ზედაფენის ინტერესებს. მას, ამ რეაქციულ და მშვიდობის საქმისადმი მტრულ პოლიტიკას, საერთო არა აქვს რა არა მარტო სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესებთან, არამედ თვით დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ინტერესებთანაც. ეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას.

ასეთია ფაქტები, და მათ ვერსად ვერ გაექცევი.

მაშ რატომ ჰგონიათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, რომ ევროპის ხალხები დაიჯერებენ მათს ლიტონ სიტყვებს „მშვიდობისმოყვარეობისა" და „აღმოსავლეთთან ურთიერთობის მოწესრიგების" სურვილის შესახებ? აქვე უნდა ითქვას, რომ თვით დასავლეთ გერმანიის ბევრი მოღვაწე და პრესა სრულებითაც არ მალავენ, რომ „აღმოსავლეთთან ურთიერთობის" სფეროში დიპლომატიური მანევრები ბონს მიაჩნია ევროპის სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად, მათ შორის გათიშვის შეტანისა და უწინარეს ყოვლისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იზოლაციის საშუალებად. ბონმა მართლაც გაუწოდა ხელი ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს. მაგრამ ამ ხელში ქვა უჭირავს, და დაე ყველამ იცოდეს, რომ კომუნისტები არც ისე გულუბრყვილონი არიან, რომ ეს ქვა ვერ შეამჩნიონ.

ევროპის სოციალისტური ქვეყნები ნამდვილი, პატიოსანი ნორმალიზაციისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეო და ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კონტაქტების განვითარების მომხრენი არიან. მაგრამ ისინი არასოდეს არ გასწირავენ ამისათვის თავიანთ ერთიანობას, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ან მასში შემავალი ცალკეული ქვეყნების ინტერესებს, კერძოდ მოძმე ქვეყნის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დამავალეს ერთხელ კიდევ განვაცხადო თქვენი ყრილობის ტრიბუნიდან, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებები და ინტერესები, თქვენს რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები ისევე მახლობელი და ძვირფასია ჩვენთვის, როგორც თქვენთვის, ამხანაგებო, და თუ საჭირო იქნება, ჩვენ მტკიცედ და გაბედულად, მთელი ჩვენი ძალებით დავიცავთ მათ!

ამხანაგებო! როცა ევროპის ცენტრში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ, კომუნისტები, სრულიადაც არ ვფიქრობთ, თითქოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკა რაღაც უცვლელი და სამუდამოდ დადაღული იყოს კაენის დაღით, ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ წინასწარ გადავუსვათ ხაზი იმ ახალს, რაც ამ პოლიტიკაში შეიძლება გაჩნდეს.

ევროპის ხალხები, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხი, დაინტერესებული არიან, რომ ფედერაციული რესპუბლიკა დაადგეს სხვა გზას, მშვიდობისა და ყველა მეზობელთან თანამშრომლობის გზას. ჩვენ სრულებითაც არ ვაიგივებთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიონობით მოქალაქის პოზიციას ბონელ რევანშისტთა და ნეონაცისტთა პოზიციასთან. დიდი პატივისცემის ღირსი არიან დასავლეთ გერმანიის საზოგადოების ის ძალები, რომლებიც ძნელ ვითარებაში მტკიცედ იბრძვიან შოვინიზმის მოძალებისა და დასავლეთ გერმანიის ცხოვრების მილიტარიზაციის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, სამშვიდობო საგარეო პოლიტიკისათვის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, ევროპაში მტკიცე მშვიდობისათვის. ეს ბრძოლა ერწყმის ევროპის საერთო ტენდენციას მშვიდობისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისადმი იმ სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებათა ცნობის საფუძველზე, რომლებიც ომისშემდგომ პერიოდში მოხდა. უეჭველია, ეს ძალები სულ უფრო მეტ გავლენას მოახდენენ დასავლეთ გერმანიის პოლიტიკაზე.

ამასთანავე გადაჭრით უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპა პასიურად ვერ დაელოდება, თუ როდის შეცვლის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თავის საშიშ საგარეოპოლიტიკურ კურსს და დაიწყებს თავისივე ხელით აღმართული განკერძოებულობისა და უნდობლობის ბარიერის დაშლას. სოციალისტური ქვეყნები, მთელი პროგრესული ძალები აქტიურად იბრძვიან და კვლავაც იბრძოლებენ უშიშროებისათვის ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა წამოაყენეს მშვიდობისა და მთელი ევროპის თანამშრომლობის ფართო და კონკრეტული პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია ბუქარესტის 1966 წლის დეკლარაციაში. ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას უკვე მოაქვს თავისი ნაყოფი. ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობა მტკიცდება და ფართოვდება.

ევროპასა და მთელ მსოფლიოში ომის საფრთხის შემცირებისათვის, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა ატომურ მადას, დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას. ასეთი ხელშეკრულების დადების პერსპექტივას, რომელიც აღკვეთდა მასობრივი მოსპობის იარაღის შემდგომ გავრცელებას დედამიწაზე და გააადვილებდა ატომური ომის საფრთხის შემცირების შემდგომ ღონისძიებათა განხორციელებას, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი იწონებს. მაგრამ ეს პერსპექტივა ძლიერ აბრაზებს იმპერიალისტური ქვეყნების ყველაზე რეაქციულ, აგრესიულ წრეებს და უწინარეს ყოვლისა დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს, რომლებიც ცდილობენ ხელთ იგდონ ატომური ბომბი. კომუნისტებმა, და საერთოდ ყველამ, ვინც ევროპისა და მთელი ჩვენი პლანეტის მტკიცე მშვიდობით არის დაინტერესებული, არ შეიძლება დასკვნები არ გამოიტანონ აქედან.

ევროპის უშიშროებისათვის ბრძოლაში სულ უფრო აქტიურად ებმებიან ბევრი ქვეყნის ხალხთა ფართო მასები. და მათს პირველ რიგებში არიან ხალხთა მასების საარსებო ინტერესების მამაცი დამცველნი — კომუნისტები. ევროპის კომუნისტური პარტიების თათბირი, რომელიც ამ დღეებში იხსნება კარლოვი ვარში, განიხილავს ევროპის კონტინენტის მშვიდობისა და უშიშროებისათვის ხალხთა ბრძოლის პრობლემებს, რომლებიც მილიონობით ადამიანს აწუხებს. შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, ისევე როგორც სხვა მოძმე პარტიები, ყოველ ღონეს იხმარენ, რომ უზრუნველყონ ამ დიდმნიშვნელოვანი თათბირის წარმატება.

სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზაზე სასარგებლო კონსტრუქციული ნაბიჯი შეიძლება იყოს სრულიად ევროპის სახელმწიფოთა ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი თათბირი. ასეთი თათბირის მოწვევას ახლა, როგორც ცნობილია, მოითხოვს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის სულ უფრო მეტი ქვეყანა. ამავე დროს თათბირის წარმატებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ორივე გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობას ასეთ თათბირში. როგორც სამართლიანად აღნიშნა გუშინ ამხანაგმა ულბრიხტმა თავის მოხსენებაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანასწორუფლებიანი მონაწილეობა ევროპის უშიშროების სისტემაში შეესაბამება ევროპის ყველა ხალხთა ინტერესებს. საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნები, სავსებით იზიარებს ამხანაგ ულბრიხტისა და თქვენი ყრილობის ამ აზრს.

ევროპაში სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცებაში დიდი წვლილია ევროპის სოციალისტური ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებათა სისტემა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებებს, რომლებიც ამას წინათ დადო გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან. ეს ხელშეკრულებანი სოციალისტური თანამეგობრობის, ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცების მაჩვენებელია, მოწმობს, თუ რა მდიდარი და მრავალმხრივია ურთიერთობა მათ შორის მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის. სუვერენული სოციალისტური სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც შედის სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებულ ოჯახში და მათი მძლავრი თავდაცვითი კავშირის — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეა, უკვე თავისი არსებობის ფაქტით მოწმობს, რომ ევროპაში ძალთა თანაფარდობა ძირეულად შეიცვალა მშვიდობის სასარგებლოდ.

ძვირფასო ამხანაგებო!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მომენტიდანვე ჩვენს პარტიებსა და ქვეყნებს აერთიანებს მჭიდრო, ღრმა და განუხრელად მზარდი ძმური მეგობრობა. ამ მეგობრობამ დაამკვიდრა ის, რაზეც ოცნებობდნენ ჩვენი ქვეყნების ხალხთა საუკეთესო შვილები, და ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ საერთო ისტორიულ მონაპოვარს. ჩვენს მეგობრობას საფუძვლად უდევს ჩვენი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისა და ჩვენი ქვეყნების სოციალური წყობილების ერთობა, ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების ერთობა, კომუნიზმის გზაზე მათი ისტორიული განვითარების მიზნების ერთიანობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ურთიერთობა ემყარება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ურყევ საფუძველს, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, ვარშავის ხელშეკრულებისადმი ორივე ჩვენი ქვეყნის ურყევ ერთგულებას. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თანამშრომლობა თვისებრივად ახალ საფუძველზე ადის. ჩვენ სულ უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ ისეთ პრობლემებს, როგორიც არის ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივათა შეთანხმება, სპეციალიზაციისა და საწარმოო კოოპერაციის განვითარება, ესე იგი შრომის სოციალისტური განაწილების საკითხები ხანგრძლივ, მეცნიერულად მოფიქრებულ საფუძველზე. რა თქმა უნდა, ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობა მიგვაჩნია ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთაშორისო თანამშრომლობის იმ საერთო სისტემის შემადგენელ ნაწილად, რომელიც წლითიწლობით მათი განვითარების სულ უფრო დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

ამხანაგებო! ჩვენ ვცხოვრობთ შესანიშნავ დროში, როცა მთელ მსოფლიოში ფართოდ ჩაღდება და განუხრელად იზრდება ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების დიადი რევოლუციური პროცესი. იმპერიალისტები გააფთრებით ცდილობენ შეაფერხონ ისტორიის მსვლელობა და მიმართავენ ავანტიურებსა და აგრესიას, ცდილობენ იარაღის ძალით ჩაახშონ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა. იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედება სერიოზულად ართულებს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას. ამ პირობებში განსაკუთრებული ძალით ვლინდება იმის საჭიროება, რომ განვამტკიცოთ მსოფლიოს მთელი რევოლუციური, პროგრესული ძალების ერთიანობა და უწინარეს ყოვლისა სოციალიზმის ქვეყნების ერთიანობა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება.

უკვე ორ წელზე მეტი ხანია მიმდინარეობს ამერიკელ იმპერიალისტთა ყაჩაღური ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ ქედი მოახრევინოს მამაც ვიეტნამელ პატრიოტებს, [illegible] სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ათასობით თვითმფრინავს, ასობით სამხედრო ხომალდს, [illegible] ჯარს, და მთელი ეს სამხედრო მანქანა ამოქმედებულია ერთადერთი მიზნით — საშუალება არ მისცენ ვიეტნამელ ხალხს თვითონ გადაწყვიტოს თავისი სამშობლოს ბედი. მაგრამ ვიეტნამის ომის მთელი მსვლელობა ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველნი ვერასოდეს ვერ მიაღწევენ ამ მიზანს.

ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს. მას თანაუგრძნობს და მხარს უჭერს მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი. მას აქტიურად, მრავალმხრივ, განუხრელად და ძმურად ეხმარებიან საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ეს დახმარება თავის საქმეს აკეთებს, იგი ზრდის წინააღმდეგობის ძალას, რასაც ვიეტნამელი ხალხი უწევს აგრესორს, და ინტერვენტები ყოველდღე გრძნობენ ამას.

ამასთან არ შეიძლება არ ითქვას, რომ ვიეტნამისადმი დახმარება გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნებოდა, და იმპერიალისტ აგრესორთა ავანტიურა ბევრად უფრო მალე ჩაიფუშებოდა, ყველა სოციალისტურ ქვეყანას, მათ შორის ჩინეთსაც ფართო ერთიანობა რომ გამოეჩინათ და ისე ემოქმედათ მებრძოლი ვიეტნამელი ხალხისადმი დახმარების დაგეგმვასა და პრაქტიკულად განხორციელებაში. მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო ამ ტრიბუნიდან, რომ საბჭოთა კავშირი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, თანმიმდევრულად უჭერენ რა მხარს ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, კვლავინდებურად მზად არიან განახორციელონ ასეთი ერთიანი მოქმედება უაღრესად ფართო თვალსაზრისით.

ჩვენ პირობას ვაძლევთ ჩვენს გერმანელ მეგობრებსა და ყველა მოძმე კომუნისტურ პარტიას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც იცავს ლენინურ კურსს, თავისი XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დაუცხრომლად იბრძოლებს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობისათვის. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების საქმეში არსებით როლს ასრულებდნენ და კვლავაც შეასრულებენ მარქსისტულ-ლენინური პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრები და თათბირები.

კომუნისტთა ახალი საერთაშორისო თათბირის მოწყობის საკითხი თვით მოვლენათა მსვლელობამ წამოაყენა. როგორც ვიცით, ბევრმა მოძმე პარტიამ უკვე გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე, მხარი დაუჭირა ასეთი თათბირის მოწვევას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს კომუნისტური რიგების შეკავშირებით დაინტერესებული ყველა პარტია.

ახლა დგება დრო, როცა უნდა მოვიფიქროთ და მოვითათბიროთ ამ თათბირის მომზადებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე, განვსაზღვროთ ის საკითხები, რომელთა განხილვა ამ თათბირზე საჭიროდ მიაჩნიათ მოძმე პარტიებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იზიარებს მოძმე პარტიების აზრს, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც არის მთელი მსოფლიოს კომუნისტთა თათბირის მოწვევა, მოითხოვს დიდ, საგულდაგულო მომზადებას. ამასთან დარწმუნებული ვართ, რომ მივაღწევთ დასახულ მიზანს, ვინაიდან იგი გამოხატავს კომუნისტთა უმაღლეს ინტერესებს — მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პოზიციების განმტკიცებას.

საბჭოთა კომუნისტები დარწმუნებული არიან, რომ ყრილობა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა, რომელიც ცნობილია თავისი ინტერნაციონალისტური ტრადიციებით, ხელს შეუწყობს მოძმე პარტიების შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ საფუძველზე.

ამის ყველაზე საიმედო საწინდარია თქვენი პარტიის ურყევი ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი.

ძვირფასო მეგობრებო!

ახლა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი დღეებია. ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ბუნებრივია, რომ საიუბილეო წელი მთელი განვლილი გზის შეჯამების, მისი საგულდაგულო ანალიზის წელია. მაგრამ, როცა შედეგებს ვაჯამებთ, მომავალსაც ვითვალისწინებთ. ჩვენი მსოფლმხედველობა გამსჭვალულია ცხოველმყოფელი ოპტიმიზმით, და ჩვენ ვიცით: როგორიც უნდა იყოს ბრძოლის სიძნელენი, მომავალი ეკუთვნის კომუნიზმს, ეკუთვნის დიდი ოქტომბრის საქმის მემკვიდრეებსა და განმგრძობებს.

საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავს ეგებებიან ახალი წარმატებებით ცხოვრების ყველა დარგში. და ჩვენ მოხარული ვართ, რომ ჩვენთან ერთად ახალ გარდაქმნათა გზას ადგანან ჩვენი მეგობრები მოძმე ქვეყნებში, მათ შორის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ თქვენც ისე ემზადებით სახელოვანი ოქტომბრის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად, როგორც თქვენი საკუთარი დიდი დღესასწაულისათვის. ეს მართლაც ჩვენი საერთო დღესასწაულია, ყველა იმათი დღესასწაულია, ვინც თავისი ბედიღბალი სოციალიზმისა და პროგრესის დიად საქმეს დაუკავშირა.

ამ დარბაზში შეკრებილ დელეგატებს ვუსურვებთ წარმატებას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობის მუშაობაში, გისურვებთ ახალ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

გაუმარჯოს გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობასა და შეკავშირებას, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობასა და შეკავშირებას!

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!

**(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა მიმართა ყრილობის დელეგატებს და თქვა:

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, დასასრულ თქვენს ყრილობას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულწრფელი პატივისცემისა და საბრძოლო სოლიდარობის ნიშნად სამახსოვრო საჩუქრად გადავცე საბჭოთა მხატვრის ვლადიმერ კუზნეცოვის სურათი „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!". ამ ტილოზე გამოხატულია ისტორიული მომენტი, როდესაც სწორედ 50 წლის წინათ 1917 წლის აპრილის დღეებში ჩვენი პარტიის დამაარსებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა სიტყვით მიმართა რევოლუციურ მასებს, პეტროგრადის ფინეთის ვოგზალზე ჯავშნოსნიდან და მოუწოდა ხალხს გაეშალა ბრძოლა რუსეთის სოციალისტური რევოლუციისათვის. ამ რევოლუციამ მთელ კაცობრიობას გაუხსნა გზა სოციალიზმისაკენ.

დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა გადასცა პრეზიდიუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობისადმი.

# ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ VII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ბერლინი, 18 აპრილი. (საქდესი). [illegible] ბის დელეგატები — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის, კოოპერაციული გლეხობის, სოციალისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული მუშაკები და სახელმწიფო მოღვაწენი. ისინი ერთსულოვნად იწონებენ პოლიტიკურ კურსს პარტიისას, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესებით, წმიდად იცავს ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ერთგულებას, [illegible] ული ინტერნაციონალიზმის [illegible]

[illegible] ცენტრალური კომიტეტის მდივანი [illegible] სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

მთელი დარბაზი ერთსულოვნად ფეხზე დგება. „ვერნერ-ზეელენბინდერჰალეში“ გაისმის მქუხარე ხანგრძლივი ტაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა სახელმწიფოს პატივსაცემად. დელეგატები და სტუმრები ერთხმად გაიძახიან: „მეგობრობა!“, „ვაშა!“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვა დამსწრეთ მოისმინეს დიდი ყურადღებით. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ხანგრძლივი ტაში.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობას მიართვა საბჭოთა მხატვრის ვლადიმერ კუზნეცოვის სურათი „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“.

შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმების ტექსტი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობისადმი.

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და ვალტერ ულბრიხტი მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ფეხზე დგებიან და ერთმანეთს მაგრად ართმევენ ხელს.

დარბაზში ჟღერს „ინტერნაციონალის“ საზეიმო მელოდია.

# ᲕᲐᲚᲢᲔᲠ ᲣᲚᲑᲠᲘᲮᲢᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ბერლინი, 17 აპრილი. საქდესის სპეც. კორესპონდენტები ი. ბორისოვი და მ. ნიკიტოჩკინი გადმოგვცემენ:

სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებამდე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივი განვითარების საკითხებს მიუძღვნა თავისი მოხსენება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა. მოხსენება მან გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობაზე, რომელიც დღეს გაიხსნა აქ. „ერთიანი გერმანია შეიძლება იყოს მხოლოდ ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული გერმანია,— ხაზი გაუსვა ვ. ულბრიხტმა. — გაერთიანებული გერმანია ევროპაში შესაძლებელია მხოლოდ როგორც მშვიდობის ფაქტორი, როგორც პროგრესისა და სოციალიზმის სახელმწიფო“.

ვ. ულბრიხტმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სოციალიზმის პროგრამის განხორციელებაში და რომ ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირთან მეგობრობას. „ეს მეგობრობა დიდ დახმარებას გვიწევდა და გვიწევს, ამრავლებს ჩვენს ძალებს გერმანიის ისტორიაში პირველი დემოკრატიული სახელმწიფოს — სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობასა და განმტკიცებაში, — თქვა მან. — ჩვენი ყრილობა განსაკუთრებით გულითადად მიესალმება საბჭოთა კავშირის ხალხებს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც ყველა დარგში მიღწეული დიდი წარმატებებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს“.

ჩვენ სახელმწიფოს, ეკონომიკისა და კულტურის განვითარება უნდა ავიყვანოთ სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების დონემდე, განაგრძო ვ. ულბრიხტმა. „საქმე ეხება იმას, რომ მივაღწიოთ უმაღლეს მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს, დიდხანს შევინარჩუნოთ იგი და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება ავაგოთ სოციალისტური სულისკვეთებით“.

ვ. ულბრიხტმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მიერ გაწეული შემოქმედებითი მუშაობა როგორც თეორიის დარგში, ისე პრაქტიკულად უწინარეს ყოვლისა გამოხატავს პარტიის გაზრდილ სიმწიფეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის უფრო სრულმა განხორციელებამ, განაცხადა შემდეგ მომხსენებელმა, კერძოდ, ბერლინში სახელმწიფო საზღვრის უშიშროების უზრუნველყოფის გზით, კარგი შედეგები მოუტანა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მაგალითად, ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური მატება 1966 წელს 3,5-ჯერ გადიდდა 1962 წელთან შედარებით. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაწეულია კაპიტალდაბანდებანი 67 მილიარდი მარკის ოდენობით. ამასთან 1966 წელს კაპიტალდაბანდებებმა დაახლოებით 31 პროცენტით გადააჭარბა 1962 წლის კაპიტალდაბანდებებს.

ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ სოციალიზმის განვითარებულ საზოგადოებრივ სისტემაზე გადასვლის ძირითადი პრობლემაა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის ეკონომიური სისტემის შემუშავება და განხორციელება. „ამ ამოცანის პრინციპული მნიშვნელობა ის არის, — თქვა მან, — რომ შეუზღუდველად გამოვიყენოთ სოციალიზმის საწარმოო პოტენციალი. ეს არის სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პერიოდის ყველა შემდგომი ეკონომიური და სოციალური პრობლემის სწორად გადაჭრის გასაღები“.

„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, — განაგრძო ვ. ულბრიხტმა, — ჩვენ სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პროცესში დავიწყეთ დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ახალი ეკონომიური სისტემის განხორციელება. სხვადასხვა სფეროში შეიქმნა მთავარი წანამძღვრები სოციალიზმის ეკონომიურ სისტემაზე კომპლექსური გადასვლისათვის. ამასთან საქმე ეხება ეკონომიურ საფუძველთა განმტკიცებას და ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟს და, მაშასადამე, ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს პოლიტიკურ, მორალურ, სამხედრო და კულტურულ პოტენციალს ევროპის უშიშროებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში“, — თქვა ვ. ულბრიხტმა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის, განაცხადა შემდეგ ვ. ულბრიხტმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის ეფექტიანობას. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მივაღწიოთ, რომ მეცნიერულად დასაბუთებული და სტაბილური პერსპექტიული გეგმა კვლავწარმოების პროცესისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ცენტრალიზებული სახელმწიფო მართვის გადამწყვეტი ინსტრუმენტი გახდეს.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლების საკითხებს. მან, კერძოდ, წამოაყენა წინადადებანი მიმდინარე წლის სექტემბრიდან 5-დღიანი სამუშაო კვირის შემოღების, მინიმალური ხელფასისა და პენსიების, აგრეთვე მრავალშვილიანი ოჯახებისადმი დახმარების გადიდების შესახებ.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების დამახასიათებელი მთავარი ნიშანია, ნათქვამია მოხსენების საგარეოპოლიტიკურ ნაწილში, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის ძალების შემდგომი ზრდა, ძალთა თანაფარდობის შემდგომი შეცვლა სოციალიზმის სასარგებლოდ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო დარგებში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სტრატეგია ახლა, აღნიშნა მომხსენებელმა, მიზნად ისახავს პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ექსპანსიის გაძლიერებას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებმაც პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვეს“. ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივ ომს თავისუფლებისა და უფლებებისათვის მებრძოლი გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ გულისწყრომით გმობენ მთელ მსოფლიოში“.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია ყრილობის ტრიბუნიდან მრისხანე პროტესტს აცხადებს სამარცხვინო ბარბაროსული აგრესიის წინააღმდეგ და, როგორც ვიეტნამში მშვიდობის დამყარების პირველხარისხოვან წანამძღვარს, მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა და სხვა საომარი მოქმედება მის წინააღმდეგ. აღნიშნა რა, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველმხრივ დახმარებას უწევენ ვიეტნამელ ხალხს, ვ. ულბრიხტმა თქვა: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა კვლავაც ყველაფერს იღონებს, რომ დაეხმაროს მოძმე ვიეტნამელ ხალხს იმპერიალისტი აგრესორის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლაში“.

ამასთან დაკავშირებით მან დაგმო ანტიმარქსისტული პოზიცია და ანტისაბჭოთა პოლიტიკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა, რომლებმაც „დიდი ზიანი მიაყენეს საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას“. „ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველმა, ანტისაბჭოთა პოლიტიკამ საშუალება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს თავიანთი კოლოსალური სამხედრო ძლიერების ფართო კონცენტრაციის გზით დაეწყოთ თავიანთი გეგმის განხორციელება და კვლავაც გამოეყენებინათ სამხრეთი ვიეტნამი სამხედრო ბაზად—აზიის კონტინენტზე აგრესიის პლაცდარმად“.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ძალთა თანაფარდობის შეცვლამ სოციალიზმის სასარგებლოდ და, კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებამ ცხადყო, თუ რაოდენ უპერსპექტივოა ამერიკელ და დასავლეთგერმანელ იმპერიალისტთა სამხედრო გეგმები ევროპაში. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიურმა და პოლიტიკურმა განმტკიცებამ, მათი პოლიტიკის წარმატებებმა, რომელიც მიმართულია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობისაკენ, სტაბილური გახადა მდგომარეობა ევროპაში. ამჟამად ძლიერდება ევროპის ქვეყნების ხალხებისა და მეტი წილი მთავრობების მისწრაფება შეინარჩუნონ სტატუს-კვო რეალური ფაქტების საფუძველზე, უზრუნველყონ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა, ხაზი გაუსვა ვ. ულბრიხტმა, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დადება.

„მარქსისტულ-ლენინური მოძმე პარტიების პოლიტიკური და იდეოლოგიური ერთიანობისა და თანამშრომლობის განმტკიცება იყო და კვლავაც არის ჩვენი პარტიისა და ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, — აღნიშნა მომხსენებელმა. — მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ მეტწილ სოციალისტურ ქვეყნებსა და კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მაღლა უჭირავთ თავიანთი პოლიტიკური და იდეოლოგიური ერთიანობისა და თანამშრომლობის დროშა განხეთქილებისა და დივერსიების ყველა ცდის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები ის არის, განაცხადა ვ. ულბრიხტმა, რომ განუხრელად განამტკიცოს ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა თანამშრომლობა, განავითაროს პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, მოაწესრიგოს ურთიერთობა ევროპის ყველა სახელმწიფოსთან. „ჩვენ მზად ვართ, — თქვა მან, — ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დავამყაროთ ევროპის ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან და განვავითაროთ თანამშრომლობა ურთიერთსასარგებლო საფუძველზე“. როგორც ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაბედულად იბრძვის ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებისათვის, იმისათვის, რომ ორივე გერმანულმა სახელმწიფომ უარი თქვას ატომურ იარაღზე, შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა, რომ არც ერთი გერმანული სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ განლაგდეს არავითარი ატომური იარაღი.

ვ. ულბრიხტმა დაგმო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების მილიტარისტული და რევანშისტული პოლიტიკა. „დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, — განაცხადა მან, — ევროპაში ერთადერთი მთავრობაა, რომელიც დაბრკოლებებს უქმნის ხალხებისა და მათი მთავრობების მისწრაფებებს უზრუნველყონ უშიშროება... იგი ევროპაში ერთადერთი მთავრობაა, რომელმაც მიზნად დაისახა არსებული საზღვრების შეცვლა“. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მინისტრებად შეყვანა, თქვა ვ. ულბრიხტმა, მიზნად ისახავს თავი დააღწიონ დასავლეთგერმანელ იმპერიალისტთა იზოლაციის საფრთხეს. ბონი კვლავინდებურად თავს არიდებს ყოველგვარ განიარაღებას.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებებს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დადო საბჭოთა კავშირთან, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან.

ვ. ულბრიხტი შეეხო დასავლეთ ბერლინის პრობლემას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დასავლეთი ბერლინი განსაკუთრებული პოლიტიკური ერთეულია, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს“ და რომ დასავლეთი ბერლინი ვერავითარ შემთხვევაში ვერასოდეს ვერ მიეკუთვნება დასავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნა მომხსენებელმა, ცდილობს დაამყაროს ნორმალური ეკონომიური და სხვა ურთიერთობა დასავლეთ ბერლინთან იმ პირობით, რომ მას არ გამოიყენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ „ცივის ომისა“ და დივერსიების პლაცდარმად.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხს. როგორც ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რეალური არ არის სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანება იმპერიალისტურ დასავლეთ გერმანიასთან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ამოცანაა ხელი შეუწყოს იმას, რომ დასავლეთმა გერმანიამაც გამონახოს მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის დაძლევის გზა. „მხოლოდ ამის მიღწევის შემდეგ გახდება აქტუალური ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება“.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა ვიქონიოთ ორი გერმანული სახელმწიფოს ხანგრძლივი დროის მანძილზე თანაარსებობის იმედი, ვ. ულბრიხტმა წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ორი გერმანული სახელმწიფოს მშვიდობიან თანაარსებობას. ეს წინადადებანი, კერძოდ, ითვალისწინებენ იმას, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარების შესახებ, დაიდოს შეთანხმება იმის შესახებ, რომ უარი თქვან ერთმანეთთან ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე, ცნონ ევროპაში არსებული საზღვრები, სანახევროდ შეამცირონ ხარჯები სამხედრო მიზნებისათვის, უარი თქვან იმაზე, რომ რაიმე ფორმით ფლობდნენ და განაგებდნენ ატომურ იარაღს.

„ეს არის ჩვენი პასუხი, — განაცხადა მომხსენებელმა, — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობის პასუხი. გერმანელი ერის ერთიანობა შეუძლებელია იმპერიალისტთა ხელმძღვანელობით. მაგრამ ჩვენ სულით და გულით ვესწრაფვით ერთიანობას მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომელიც მშრომელ გლეხებთან და მოწინავე ინტელიგენციასთან კავშირით განსაზღვრავს ორი გერმანული სახელმწიფოს მომავალს“.

# ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲣᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

[illegible]

## ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

[illegible]

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

[illegible]

## ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

[illegible]



ადენის ხალხი განაგრძობს იმისათვის ბრძოლას, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ბრიტანელ კოლონიზატორთა ბატონობისაგან გაათავისუფლოს. ქალაქ ადენში მღელვარება არ წყდება. სურათზე: დაპატიმრებული დემონსტრანტები.
ფოტო იუპი-საქდესისა.

## ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲘᲐ

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. (საქდესი). ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა, რომელმაც დაამთავრა ვიზიტი სამხრეთ ვიეტნამში, საიგონში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებისთანავე დაჟინებით მოითხოვს მოხდეს საჭირო ცვლილებანი სავიეტნამო პოლიტიკაში“. ამასთან დაკავშირებით მან მოითხოვა გადიდდეს ამერიკის ჯარების რიცხვი სამხრეთ ვიეტნამში და გაფართოვდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

როგორც ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა თქვა, იგი მომხრეა „გადამწყვეტი სამხედრო და ეკონომიური ზეგავლენისა“ ვიეტნამში.

ნიქსონმა „დაგმო“ სენატორები რ. კენედი და მ. მენსფილდი იმის გამო, რომ არ ეთანხმებიან ჯონსონის მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკას.

## Დ. Რ. ᲛᲘᲩᲘᲜᲔᲠᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲐ

ოტავა, 17 აპრილი. (საქდესი). ჟორჟ ვანიეს გარდაცვალების გამო კანადის ახალ გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა დანიელ როლანდ მიჩინერი.

დ. რ. მიჩინერი რამდენჯერმე იყო არჩეული პარლამენტში პროგრესულ-კონსერვატიული პარტიისაგან. 1957-1962 წლებში თემთა პალატის სპიკერი იყო. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე კანადის უმაღლესი კომისარი იყო ინდოეთში.

## ᲯᲝᲜ ᲒᲝᲚᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ლონდონი, 17 აპრილი. (საქდესი). დადგა დრო, როცა მთელი მემარცხენე ძალები უნდა გაერთიანდნენ, რათა შეაჩერონ კონსერვატორები, განაცხადა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა გუშინ მენსფილდში (ნოტინჰემშირი) გამართულ მიტინგზე.

გოლანმა დაგმო მთავრობის ეს განზრახვა, რომ კვლავაც განახორციელოს პოლიტიკა, რომელიც უარყვეს საგრაფოთა საბჭოების არჩევნებზე. მიუხედავად ყველა დაპირებისა, რომ სწორ გზაზე დააყენებენ ეკონომიკას, განაგრძო გენერალურმა მდივანმა, მრეწველობაში კვლავ მოდუნებაა, მატულობს ფასები, ხელფასი კი გაყინულია და სულ უფრო იზრდება სიღატაკე.

თავის სიტყვაში, რომელიც დღეს გამოაქვეყნა გაზეთმა „მორნინგ სტარმა“, ჯ. გოლანმა ხაზი გაუსვა, რომ ეს პოლიტიკა სასარგებლოა მხოლოდ ფინანსისტებისა და მსხვილი მონოპოლისტებისათვის, ისინი კი ხმას აძლევენ კონსერვატორებს. ვილსონი რომ დაინტერესებულიყო, თუ როგორი იყო ამომრჩეველთა განწყობილება დიდი ლონდონის საბჭოს არჩევნების წინ, დაინახავდა, რომ ხალხი სავსებით გმობს გაყინვისა და შემზღუდველი ღონისძიებების, უმუშევრობის, პროფკავშირებზე შეტევის პოლიტიკას, გმობს პოლიტიკას „სუეცის აღმოსავლეთით“ და ამერიკის შეერთებული შტატების ვიეტნამში მხარდაჭერის პოლიტიკას.

კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მოუწოდა მემარცხენე ძალებს გააორკეცონ მეცადინეობა მთავრობის ამ კურსის წინააღმდეგ ბრძოლაში, და ხაზი გაუსვა, რომ მემარცხენე ძალები უნდა გაერთიანდნენ, რათა შეაცვლევინონ ახლანდელი პოლიტიკა მთავრობას და შეაჩერონ კონსერვატორთა შემოტევა.

## ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ბრიუსელი, 17 აპრილი. (საქდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრების საბჭოს მორიგმა, 214-ე სესიამ.

ორი დღის სესიის მუშაობის დღის წესრიგშია საკითხები, რომლებიც ვერ გადაჭრა მცირე ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრების წინა სესიამ.

## ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲕᲘᲐᲮᲐᲖᲘ „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ-ᲢᲝᲙᲘᲝ“

მოსკოვი, 17 აპრილი. (საქდესის კორ.). „დაიწყო ჩასხდომა მოსკოვ-ტოკიოს თვითმფრინავში“. ეს სიტყვები პირველად გაისმა დღეს დედაქალაქის შერემეტიევოს აეროვოგზალში. აქედან გაფრინდა საჰაერო ხომალდი „ტუ-114“ № 76464, რომელმაც გახსნა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა საბჭოთა კავშირისა და იაპონიის დედაქალაქებს შორის. წინ არის რვაათასზე მეტი კილომეტრი ციმბირისა და ოკეანის სივრცეებში.

ამ საერთაშორისო ავიახაზს ერთობლივად ემსახურებიან „აეროფლოტი“ და იაპონიის ავიაკომპანია „ჯაპან ეირ ლაინზი“. მოსკოვსა და ტოკიოს შორის თვითმფრინავები კვირაში ერთხელ იფრენენ, შემდეგ უკვე მიმდინარე წელს, ამ ტრასაზე მიმოსვლას დაიწყებენ „ილ-62“ რეაქტიული თვითმფრინავები.

პირველ რეისში გაფრინდა დელეგაცია სამოქალაქო ავიაციის მინისტრის ე. თ. ლოგინოვის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები, სამოქალაქო ავიაციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები.

იაპონიის ელჩმა სსრ კავშირში ტორუ ნაკაგავამ ბედნიერი მგზავრობა უსურვა ახალი ავიახაზის პირველ მგზავრებს.

## „ᲢᲣ-114 ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ

ტოკიო, 18 აპრილი. (საქდესი). ტოკიოს ხანედის საერთაშორისო აეროდრომზე დაჯდა „ტუ-114“ თვითმფრინავი, რომლის რეისით გაიხსნა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა სსრ კავშირისა და იაპონიის დედაქალაქებს შორის. 8 ათასი კილომეტრი მანძილი თვითმფრინავმა გაიარა 10 საათსა და 35 წუთში.

## ᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ლონდონი, 17 აპრილი. (საქდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი აკრიდან გვატყობინებს, რომ ჩაიფუშა არმიის ოფიცერთა ჯგუფის ცდა განაში მოეხდინა სამხედრო გადატრიალება, რომლის დროს დღეს დილით მოკლეს განის არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კოტოკა. კოტოკა იყო განის მმართველი პარტიის — განთავისუფლების ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრი. განის განთავისუფლების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ გენერალმა ანკრამ დღეს ბურმის სამხედრო ბანაკში პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გადატრიალების ცდაში მონაწილეობდა განის არმიის ერთ-ერთი შენაერთის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. გადატრიალების ცდის მონაწილენი, თქვა მან, დაპატიმრებული არიან.

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ლონდონი, 18 აპრილი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ინგლისმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს მოიწვიონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ცვალებადი გეომეტრიის ფრთიანი სამხედრო თვითმფრინავის შექმნაში მონაწილეობის მისაღებად.

შეთანხმებას ამის შესახებ, წერს კორესპონდენტი, გუშინ მიაღწიეს ლონდონში ინგლისის თავდაცვის მინისტრის ჰილისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრის მესმერის მოლაპარაკების დროს.

თუმცა ოფიციალურ კომუნიკეში არაფერია ნათქვამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოწვევის შესახებ, კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ არც ინგლისი, არც საფრანგეთი არ აპირებენ მარტო თვითონ იკისრონ თვითმფრინავის პროექტის რეალიზაციის განუწყვეტლივ მზარდი დამატებითი ხარჯები.

## ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲠᲐᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲗ

ლონდონი, 18 აპრილი. საქდესის კორესპონდენტი ვ. ჩუქსეევი გვატყობინებს: ეკონომიკის მინისტრი ს. სტიუარტი გუშინ საღამოს განუმარტავდა ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციას მთავრობის გეგმებს განაგრძოს მშრომელთა ხელფასის „გაყინვის“ პოლიტიკა.

როცა მინისტრი ლეიბორისტ პარლამენტარებს შეხვდა, სულ რამდენიმე საათი იყო გასული მას შემდეგ, რაც იგი კრიტიკის ქარცეცხლში გამოატარეს თემთა პალატაში როგორც ოპოზიციურმა, ისე მმართველმა პარტიებმა.

ორი საათის განმავლობაში პარლამენტის ლეიბორისტული ფრაქციის წევრები მკვახე შენიშვნებით ესხმოდნენ თავს მ. სტიუარტს. მათი უმრავლესობა ხაზს უსვამდა, რომ სანამ მთავრობა საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებს ხელფასის დარგში, ფასები განუხრელად მატულობს.

ორატორები აფრთხილებდნენ მთავრობას, რომ ახალი კანონმდებლობა პროფკავშირთა გადამწყვეტ წინააღმდეგობას წააწყდება.

მ. სტიუარტი ცდილობდა დაეცვა ის აზრი, რომ „საჭიროა“ ახალ მკაცრ ღონისძიებათა განხორციელება ხელფასის დარგში. ამასთანავე მან აღიარა, რომ ფასებს კონტროლს ველარ უწევს მთავრობა.

ეკონომიკის მინისტრის გუშინდელი განცხადება პარლამენტში დაემთხვა საბოლოო მონაცემების გამოქვეყნებას საგრაფოთა საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ, რომელიც წარსულ კვირაში გაიმართა. არჩევნებმა დიდი დამარცხება მოუტანეს ლეიბორისტებს, რომლებმაც დაკარგეს კონტროლი დიდი ლონდონის საბჭოსა და ბევრი საგრაფოს საბჭოებში. მაგრამ მთავრობას, როგორც მისი უკანასკნელი განცხადებებიდან ჩანს, ჭკუა ვერ ასწავლა ამ სავალალო შედეგმა, თუმცა, ერთსულოვანი აღიარებით, სწორედ ამ პოლიტიკამ ჩამოაშორა ამომრჩევლები ლეიბორისტ კანდიდატებს.

დღეს ბევრი გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობამ შარშან ხელფასის „გაყინვა“ „დროებითს ღონისძიებად“ შემოიღო. როგორც უკანასკნელი ამბებიდან ჩანს, ეს პოლიტიკა ლამის მუდმივი გახდეს. „გრძელდება პროფკავშირთა შეზღუდვა, — აცხადებს გაზეთი „დეილი ექსპრესი“. — მათ ართმევენ მოლაპარაკების, თავიანთი წევრების დაცვისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების თავისუფლებას“.

## ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

ლონდონი, 18 აპრილი. (საქდესი). აქ გამოაცხადეს საბოლოო შედეგები ინგლისის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საგრაფოთა საბჭოების არჩევნებისა, რომელიც ერთ კვირას მიმდინარეობდა. ლეიბორისტულმა პარტიამ არჩევნებში სერიოზული დამარცხება განიცადა: საგრაფოთა 59 საბჭოდან იგი ამჟამად კონტროლს უწევს მხოლოდ სამს. ლეიბორისტებმა მიიღეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროიდან ყველაზე ნაკლები რიცხვი მუნიციპალურ მრჩეველთა ადგილებისა, მაშინ როცა კონსერვატორებმა მნიშვნელოვნად განიმტკიცეს პოზიციები.

როგორც ადგილობრივი მიმომხილველნი აღნიშნავენ, მმართველი ლეიბორისტული პარტიის დამარცხება აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ინგლისის მშრომელნი უკმაყოფილო არიან ხელფასის „გაყინვის“ პოლიტიკის გამო, რომელსაც ვილსონის მთავრობა ახორციელებს.

## ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

▲ პრაღა, 17 აპრილი. (საქდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მხურვალედ, ძმურად მიესალმება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელებს, პროფკავშირთა წევრებს 1 მაისის გამო.

▲ ლონდონი, 18 აპრილი. საქდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო გვატყობინებს: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრაუნი ვაშინგტონს გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის — სეატოს საბჭოს სესიაში, რომელიც დღეს იხსნება.

▲ ტოკიო, 17 აპრილი. საქდესის კორესპონდენტი ი. ვდოვინი გვატყობინებს: დღეს ტოკიოში დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის 23-ე სესია.

# ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებს უკრაინელ და ქართველ ხალხებს. საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობა ვითარდებოდა ჯერ კიდევ კიევის რუსეთის ეპოქაში, აღარაფერი, რომ არა ვთქვათ ორივე ხალხის უფრო ძველ ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაზე. ერთი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მიღწევებს ყოველთვის ეხმაურებოდა მეორე. განსაკუთრებით აყვავდა მოძმე ხალხების მეგობრობა დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ.

საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობის ისტორია გახდა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის განხილვის საგანი. ეს სესია, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, გაიხსნა 18 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ვ. წერეთელმა.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიოგრაფიის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა თ. პ. შევჩენკომ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ქართველები ზაპოროჟიელთა ჯარში“. უკრაინელმა მეცნიერმა მოიყვანა საინტერესო მონაცემები, რომლებიც აშუქებენ ქართველთა მონაწილეობას კაზაკთა ჯარში 1648-1654 წლების განმათავისუფლებელ ბრძოლაში. XVIII საუკუნეში უკრაინაში შეიქმნა ქართველ ჰუსართა პოლკი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ო. დ. ლორთქიფანიძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა ანტიკურ ეპოქაში კოლხეთისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ურთიერთობის ისტორიას. კოლხეთისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ტომთა ურთიერთობას მოწმობენ ძველი წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულის მიჯნის არქეოლოგიური მასალები.

ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის განვითარება კომუნისტური მშენებლობის წლებში — ამ თემას მიუძღვნა მოხსენება უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. თ. პანიბუდლასკამ. თავის ნაშრომში მეცნიერმა გვიჩვენა, თუ რა განუზომლად გაფართოვდა და გამდიდრდა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების ეკონომიური და სულიერი ურთიერთობა და თანამშრომლობა, კერძოდ, უკრაინისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობა“.

„მოხსენება „სსრ კავშირის ხალხთა კავშირი და თანამშრომლობა თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში“ წაიკითხა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ს. მ. პარხომჩუკმა.

სესიაზე მოისმინეს აგრეთვე უკრაინელ და ქართველ მეცნიერთა მთელი რიგი ერთობლივი მოხსენებანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ც. პ. კალანდაძემ და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. მ. შევჩუკმა მოამზადეს ერთობლივი მოხსენება „1917-1941 წლებში უკრაინელი და ქართველი ხალხების კულტურული თანამშრომლობის განვითარების ისტორიიდან“.

დიდი სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომ პერიოდში უკრაინისა და საქართველოს ხალხების კულტურული თანამშრომლობის განმტკიცებას მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გ. მაისურაძემ და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ა. შევჩენკომ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე დ. ბ. ლაშქარაძე.

სესია სამ დღეს გაგრძელდება. (საქდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
მე-3 გვერდი, ოთხშაბათი,
19 აპრილი, 1967 წ.



# «იაკ-40» გამოცდას აბარებს

[illegible]

## სამი ზიანის საპოპოლმილი აპარატის მინისტრი

[illegible]

...გრადუსს აღწევდა. შემდეგ თვითმფრინავმა მაქსიმალური სიჩქარე განავითარა. ხელსაწყოებმა აჩვენეს 640 კილომეტრი საათში.

ფრენის დროს მოწმდებოდა აგრეთვე თვითმფრინავის გამძლეობა, თუ როგორ იღებს სიმაღლეს, პლანირების როგორი უნარი აქვს. ფრენის მნიშვნელოვანი ნაწილი ღრუბლებში მიმდინარეობდა. შემდეგ საჭეს [illegible]

(საქდესის კორ.)

შერემეტიევო. თვითმფრინავი № 1966.

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ ზემოთ — „იაკ-40“. მარცხნივ ქვემოთ — თვითმფრინავის სალონის ინტერიერი.

ფოტო ო. პრეობრაჟენსკისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).





# დაოსტატების გზით

## მუსიკალურ სასწავლებელთა დათვალიერება

[illegible]

...ველებისათვის დათვალიერების შედეგებზე.

გთავაზობთ მის ნაამბობს:

**საქართველოს** მუსიკალურ სასწავლებელთა დათვალიერება საკონკურსო ხასიათისა არ ყოფილა, ამიტომ საუბარი გამარჯვებულებზე კი არ გვექნება, არამედ აღვნიშნავთ საერთო სურათს. დათვალიერების მიზანი იყო საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებრიობას თვალნათლივ ენახა, თუ რა მდგომარეობაა პროფესიული მუსიკის ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.

თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ დათვალიერებამ კარგი შედეგი მოგვცა და, რაც მთავარია, დაამტკიცა: რესპუბლიკის ახალგაზრდა მუსიკოსების დაოსტატება საკმაო აღმავლობითა და წინსვლით ხასიათდება.

სულ მონაწილეობდა ათი სასწავლებელი. თბილისის პირველი, მეორე, მეოთხე და ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, თელავის, რუსთავის, გორისა და ფოთის მუსიკალური სასწავლებლები.

თუ ადრე სასწავლებლებში ლტოლვა ფორტეპიანოსადმი ისე დიდი იყო, რომ სხვა საკრავებსა და დარგებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ამჟამად ეს მოვლენა შედარებით გამოსწორებულია. დათვალიერებაზე წარმოდგენილი [illegible] მდგომარეობაა ქუთაისის, ბათუმისა და თელავის სასწავლებლებში.

კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს მუსიკალურ სასწავლებლებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საორკესტრო კლასების დარსების მადა გაეღვიძათ. უკვე საკმაოდ კარგი სიმფონიური ორკესტრია შექმნილი თბილისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. თბილისის მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელთან შექმნილია მოსწავლეთა კამერული ორკესტრი. ბათუმისა და სოხუმის სასწავლებლებმა სიმფონიური ორკესტრები ჩამოაყალიბეს.

დათვალიერებაში მონაწილეობდა რამდენიმე კარგი ვოკალური ანსამბლი. აღსანიშნავია ანსამბლ „მადრიგალის“ გამოსვლა, რომელიც IV მუსიკალურ სასწავლებელში შექმნა პედაგოგმა ო. სარაჯიშვილმა.

შედარებით ცუდი მდგომარეობაა ვოკალისტებს შორის. ეს ფაქტი გაოცებას იწვევს თუნდაც იმიტომ, რომ ვოკალისტები მუდამ მომზადებული და კარგები გვყავდნენ. ამჯერად ვოკალისტებმა თავი ვერ ისახელეს.

საერთოდ კი დათვალიერებამ ცხადყო, რომ საქართველოში ახალგაზრდა მუსიკოსთა აღზრდის საქმე კარგად გამოიყურება.

ლ [illegible]

---

**ლ**ვოვის ტელევიზიის ქარხნის კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს ტრანზისტორებზე მომუშავე მეორე კლასის ტელევიზორის ახალი მოდელი. ახლა ასეთი ტელემიმღების პირველი ათი ნიმუში გამოცდებს გადის.

ახალი ტელევიზორი 70 ვატ ელექტროენერგიას დახარჯავს. მისი წონა 22 კილოგრამია.

**სურათზე:** მარჯვნივ ზემოთ — ინჟინერ-კონსტრუქტორი ტატიანა ბერეზოვსკაია ახალ ტელევიზორთან.

ფოტო ბ. კრიშტულისა.

**წ**ყალქვეშ ცურვა თუ გიყვართ, — აუცილებლად გჭირდებათ „დელფინი“. ამ პატარა მსუბუქ აპარატს „ეხერხება“ მშვენივრად იდგეს წყალზე, კარგად ყვინთავდეს და საათში ოთხიდან რვა კილომეტრამდე სისწრაფით მოძრაობდეს, თან მიჰყავდეს მცურავი, რომელსაც ხელები ჩავლებული აქვს კორპუსზე დამაგრებული სახელურებისათვის. მისი წინა ნაწილის ცენტრში მოთავსებულია ფარა, რომლის შუქი ეხმარება მცურავს საღამო ხანს დაინახოს მის პირისპირ მომავალი ნავი, შეამჩნიოს წყალქვეშა დაბრკოლება. ფარის ოდნავ ზემოთ მოთავსებულია ორი სასიგნალო შუქი: მარცხნივ — წითელი, მარჯვნივ — მწვანე.

„დელფინის“ კორპუსში ჩამალულია აკუმულატორები და ელექტრომოტორი, რომელიც ხრახნს ამოძრავებს.

მობუქსირე „დელფინის“ გაკეთება ყველას შეუძლია, როგორც ეს გააკეთეს ნორჩმა ტექნიკოსებმა მოსკოვის ოლქის ქალაქ კალინინგრადში ს. სემიონოვმა, ვ. ბოდროვმა და ს. პილკინმა — „დელფინის“ ავტორებმა. ახლა მობუქსირე შეიძლება ნახოთ მრავალ სხვა საინტერესო ექსპონატთან ერთად, რომლებიც მოთავსებულია ნორჩ ტექნიკოსთა მოსკოვის საოლქო სადგურის სტენდებზე.

**სურათზე:** მარჯვნივ ქვემოთ — მობუქსირე „დელფინი“.

ფოტო ნ. პაშინისა (ახალი ამბების სააგენტო).



# ფესტივალი დაიწყო

გუშინ თბილისის სანიტარული კულტურის თეატრში დაიწყო ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თვითმოქმედი დრამატული კოლექტივების რესპუბლიკური ფესტივალი.

ფესტივალის პირველ დღეს გამოვიდნენ სიღნაღის რაიონის დაბა წნორის დრამატული წრის წევრები, რომლებმაც წარმოადგინეს ს. მთვარაძის კომედია „უმადური“.

ფესტივალში მონაწილეობს თელავის აბრეშუმის კომბინატის კულტურის სახლის, სიღნაღის რაიონის ნუკრიანის სასოფლო კლუბის, სოხუმის პროფკავშირთა კულტურის სახლის, ფოთის მეზღვაურთა კლუბის 12 კოლექტივი და სხვ.

ფესტივალი 29 აპრილამდე გასტანს. (საქდესი).

# დამ გადაარჩინა ძმა

**ეს ამბავი** წყალტუბოს რაიონის სოფელ ყონჯთში მოხდა. თხუთმეტი წლის ნარგიზა ჯანელიძე დედამ ტყეში თხების სარეკლად გაგზავნა. უმცროსი ძმა — მეოთხეკლასელი გელაც დას აედევნა.

დიდხანს იარა ტყეში და-ძმამ, მაგრამ უშედეგოდ. პატარა გელა დაიღალა და რამდენიმე მეტრით ჩამორჩა დას. უცებ ნარგიზას ძმის განწირული ყვირილი და კვნესა მოესმა. გაოგნებულმა გოგონამ მიწაზე დაგდებული ბიჭი რომ დაინახა, ხელი წაატანა. მაგრამ ძლიერმა ბიძგმა გვერდზე გადატყორცნა. ბიჭი ჩამოწყვეტილ ელექტრომავთულს გამოსდებოდა.

ლოდინის დრო აღარ იყო. ნარგიზამ მოიხადა თავშალი, ხელებზე შემოიხვია და სიკვდილს თავგანწირვით შეებრძოლა. ბიჭი მავთულისაგან გაათავისუფლა, მაგრამ პატარა გელას სუნთქვა შეჰკვროდა, სიდამწვრისაგან კიდურები გახევებოდა და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. მშველელი კი არსად ჩანდა.

საზრიანი გოგონა არც ახლა დაიბნა, გადაწყვიტა ხელოვნური სუნთქვით გრძნობაზე მოეყვანა ძმა. კარგა ხანმა განვლო, გელას კი უკეთობა არ დასტყობია. მაგრამ გამარჯვებაში დარწმუნებული ნარგიზა არ ეშვებოდა მომაკვდავ ბიჭს. როგორც იქნა, ბიჭმა თვალები გაახილა... განაწამებმა გოგონამ ძმა ხელში აყვანილი ჩაიყვანა სოფელში.

ბიჭის მეორედ დაბადებას ულოცავდნენ თანასოფლელები ვალიკო და ელენე ჯანელიძეებს.

თუმცა ამით როდი დამთავრებულა ყველაფერი. ბიჭს მძიმე სიდამწვრე ჰქონდა მიღებული. და იგი ქუთაისის № 1 საავადმყოფოში მოათავსეს. საავადმყოფოს მთავარი ექიმის ვ. გიორგაძის, მკურნალი ექიმების მ. კეთილაძისა და ს. ჯიქიას ყოველდღიური ზრუნვით გელა ჯანელიძე სავსებით განიკურნა და ამ დღეებში დაუბრუნდება ოჯახსა და სკოლას.

შ. ჯავახაძე.

# საუკეთესო ჩოგბურთელი

რომი, 18 აპრილი. (საქდესი). „დღეისათვის ყოველ შემთხვევაში თუ გავითვალისწინებთ იტალიის საგაზაფხულო ტურნირების სერიის შედეგებს, საუკეთესო ჩოგბურთელია ალექსანდრე მეტრეველი“, — წერს დღევანდელი გაზეთი „კორიერე დელა სპორტი“.

„შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს, რომ დღევანდელი საჩოგბურთო ქრონიკა ეძღვნება საბჭოთა სპორტსმენს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნება, — განაგრძობს გაზეთი...

სპორტი სსრ კავშირში ვითარდება კონკრეტული პროგრამით და ძალიან ფართოდ. უნდა ვაღიაროთ საბჭოთა ჩოგბურთის წარმატებანიც, სპორტის სახეობისა, რომელსაც საბჭოთა კავშირში არცთუ ისე უწყობს ხელს კლიმატური პირობები.

— მაგრამ დავუბრუნდეთ მეტრეველს. ეს გვარი, საკმაოდ ცნობილია იტალიაში, (სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მარჯვენა გარემარბიც მეტრეველია)...

ჩვენ არ ვამბობთ, რომ საბჭოთა ჩოგბურთელი ექსტრაკლასისაა, მიუხედავად ამისა შეიძლება ვთქვათ, რომ საქმე ეხება ძალიან ძლიერ სპორტსმენს არა სანახობითი თვალსაზრისით, არამედ თამაშის უაღრესი სიზუსტის თვალსაზრისით. იგი შეიძლება გახდეს მიმდინარე წლის უდიდესი ასპარეზობის და განსაკუთრებით იტალიის საერთაშორისო ტურნირის გმირი, რომელიც გაიმართება 8-16 მაისს“.

## ლიდერობენ თბილისელები

თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ლვოვის არმიის საპორტო კლუბის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების გუშინდელი მატჩი მეტად პრინციპული იყო.

პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 11:11. მეორე ტაიმის ბოლო ოცი წუთი თბილისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. საბოლოო ანგარიშია 23:18 „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ. თბილისელები 7 ქულით ლიდერები გახდნენ.

გუშინ გაიმართა კიდევ ხუთი მატჩი.

## ფინალისტები ცნობილია

**ჩეხოსლოვაკიის** ქალაქებში — გოტვალდოვში, ბრატისლავასა და ბრნოში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის.

სსრ კავშირის ნაკრებმა ბრნოს ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგო და ფინალში გავიდა. ამავე ჯგუფიდან დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს იუგოსლავიის ნაკრები, რომელმაც უკანასკნელ მატჩში დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელები 58:43.

ბრატისლავის ჯგუფიდან ოქროს მედლებისათვის ბრძოლას განაგრძობენ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელები. მათი უკანასკნელი მატჩი დამთავრდა კორეელთა გამარჯვებით 67:66.

გოტვალდოვის ჯგუფიდან ფინალში გავიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იაპონიის გუნდები.

## შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

# ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

**შეკითხვა:** ვმუშაობდი ტყიბულში მიწისქვეშა სამუშაოებზე. გასული წლის ივნისში მივიღე შრომითი დასახიჩრება. სამი თვის განმავლობაში ვიღებდი დახმარებას დროებითი შრომისუუნარობის გამო საავადმყოფო ფურცლების მიხედვით. ამჟამად ინვალიდი ვარ. ჩამეთვლება თუ არა დროებითი შრომისუუნარობის გამო მიღებული დახმარება გამომუშავებაში, რომლიდანაც პენსია იანგარიშება?

გ. კიკნაველიძე.
ქ. ტყიბული.

**პასუხი:** გამომუშავების თანხაში, რომლის მიხედვითაც ხდება პენსიის ოდენობის განსაზღვრა, არ შედის დახმარება, რომელიც გადახდილია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან. დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო, რომელიც საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე გაიცა, ასეთ დახმარებათა რიცხვს ეკუთვნის.

**შეკითხვა:** 1967 წლის 31 იანვარს მუშაობა დავიწყე ქუთაისის № 2 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორაში ავტოშემკეთებლად. 16 თებერვალს კი სამუშაოდან გამათავისუფლეს შტატების შემცირების გამო. გასასვლელ დახმარებას არ მაძლევენ. მეკუთვნის თუ არა?

გ. პინწურაშვილი.
ქ. ქუთაისი.

**პასუხი:** თუ თქვენ სამუშაოზე მიღებული იყავით საგამოცდო ვადის დაუნიშნავად, შტატების შემცირების გამო სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით ადმინისტრაცია ვალდებული იყო გაეფრთხილებინეთ დათხოვნის შესახებ ორი კვირით ადრე, ან მოეცა გასასვლელი დახმარება თქვენი ორი კვირის ხელფასის ოდენობით.

**შეკითხვა:** ჩემი პირადი საკუთრების სახლი, რომელშიც ჩემი ოჯახი ცხოვრობდა, აიღეს მრავალბინიანი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით. სახლის ღირებულების ანაზღაურების ნაცვლად ახლად აგებულ მრავალბინიან სახლში მივიღე საცხოვრებელი ბინა. სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელსაც სახლი ეკუთვნის, მახდევინებს ბინის ქირას საერთო წესით. რამდენად სწორია ეს?

კ. შაავა.
ქ. სოხუმი.

**პასუხი:** სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების შენობების აღების დროს ამ მოქალაქეებს მიეცემათ ახალი შენობების ღირებულება, მათი სურვილით, ბინები, ახალი შენობათა ღირებულების აუნაზღაურებლად. ბინები ეძლევათ სახელმწიფო საბინაო ფონდის კეთილმოწყობილ სახლებში, სულ მცირე 12 კვადრატული მეტრის ფართობით ოჯახის თვითეული წევრისათვის. მოქალაქე, რომელმაც ამ წესით მიიღო ბინა, სარგებლობს არა პირადი მესაკუთრის, არამედ მობინადრის უფლებებით და ვალდებულია იხადოს ბინის ქირა იმ სახელმწიფო ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომელსაც სახლი ეკუთვნის.

**შეკითხვა:** ვცხოვრობ სოფლად. ვმუშაობდი დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. ამჟამად ვარ პენსიონერი მოხუცებულობის გამო. მეკუთვნის თუ არა შეღავათები ბინის ქირის, გათბობის და განათების გადასახადის გადახდაში?

ი. კენჭაძე.
გორის რაიონი.

**პასუხი:** სოფლად ადგილებში დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების მასწავლებლებს და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახის წევრებს საცხოვრებელი სადგომი გათბობა-განათებით უფასოდ ეთმობათ. თუ მოხუცებულობის პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით მასწავლებელმა მიატოვა სოფლის სკოლაში მასწავლებლად მუშაობა, ეს შეღავათი მასზე აღარ ვრცელდება.

**შეკითხვა:** ვარ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 68 წლისა, ოჯახში მყავს ცოლი და ოთხი შვილი. ერთი შვილი მოსამსახურეა, სამი კი — მოსწავლე. მაქვს საკარმიდამო ნაკვეთი 0,11 ჰექტარი. მეკუთვნის თუ არა შეღავათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდაში?

ვ. მამალაძე.
ჩოხატაურის რაიონი.

**პასუხი:** იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც თქვენს შეკითხვაში აღნიშნული, თქვენს მეურნეობაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათები არ ვრცელდება.

**შეკითხვა:** 1965 წელს გარდაიცვალა მამა, რომელმაც მთელი თავისი ქონება ანდერძით მე დამიტოვა. ჩემი დედინაცვალი მოითხოვს ანდერძის გაუქმებას. ეკუთვნის თუ არა მას სამკვიდრო წილი, თუ ეკუთვნის, — რა ოდენობით?

ა. ჩაჩიბაია.
ქ. თბილისი.

**პასუხი:** თუ თქვენი დედინაცვალი არაშრომისუნარიანია, მას, როგორც სამკვიდროს დამტოვებლის მეუღლეს, მიუხედავად ანდერძის შინაარსისა, ეკუთვნის სამკვიდრო წილი, რომელიც არ შეიძლება იყოს იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რასაც იგი კანონის მიერ მემკვიდრეობის დროს მიიღებდა.

## კოლმეურნის მამაცობა

დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის მევენახეები ვაზის მყნობაზე მუშაობდნენ. უეცრად ახლო მდებარე სათბურიდან მათ ცეცხლის ენები შენიშნეს. ხანძარი ემუქრებოდა საკოლმეურნეო ქონებას. სათბურში 55 ათასი ცალი ნამყენი ვაზი ინახებოდა.

კოლმეურნე ბიჭიკო ხიზანიშვილმა გადაწყვიტა შენობაში საფურავიდან ჩასულიყო. მან სწრაფად ახადა შიფერი და ძალა დაეშვა. ჩასვლისთანავე ნამყენი ვაზის ყუთებს დაავლო ხელი და ხანძრის კერას მოაშორა; მალე სახანძრო რაზმიც მოვიდა და ცეცხლი ჩააქრეს. ბ. ხიზანიშვილის მამაცობამ დაღუპვას გადაარჩინა საკოლმეურნეო ქონება.

ს. ნერგაძე.

## დათვთან ბრძოლა

**ქობულეთის** რაიონის სოფელ დიდვაკის მცხოვრები ახმედ ქათამაძე გარეულ თხაზე სანადიროდ წავიდა, მაგრამ მოულოდნელად დათვის ბუნაგს წააწყდა. მალე დათვიც გამოჩნდა. მონადირემ მხეცს ესროლა. დაჭრილი დათვი ადამიანს შეება, მაგრამ ამ დროს ტყიდან მომავალი რესულ ტაკიძე გამოჩნდა და მეზობელს მიეშველა. გამძვინვარებული მხეცი მალე უსულოდ დაეცა.

მამაცმა მონადირეებმა კოლმეურნეთა მადლობა დაიმსახურეს.

შ. დარსაველიძე.

## სპორტული ქრონიკა

☐ სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა დაამთავრეს ტურნე იაპონიაში. უკანასკნელი მატჩები ჩვენს ფრენბურთელებს ჰქონდათ ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებთან. ვაჟთა გუნდების პაექრობაში წარმატება კვლავ საბჭოთა ფრენბურთელებს ხვდათ 3:1; ქალთა გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს იაპონელებმა 3:0.

☐ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ა. მეტრეველის ტრიუმფზე პალერმოს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში. ამ შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონი გ. ბაკშეევა და ექს-ჩემპიონი თ. ლეიუსი. შერეულ წყვილთა ფინალში მათ დაამარცხეს ა. ბელტრამე (იტალია) და ს. ლიხაჩოვი 9:7, 2:6, 6:0 და პირველი ადგილი დაიკავეს.

☐ ათი ქვეყნის 144 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა სოფიაში გამართულ კლასიკურ და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში. ჩვენმა სპორტსმენებმა ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს, აქედან ოთხი — კლასიკურმა მოჭიდავეებმა.



# სსრკ თევზის მეურნეობის სამინისტროს მთავთევზმშენის საქართველო—შავი ზღვის თევზის მარაგის დაცვისა და მომრავლების სამმართველო

**აცნობებს თევზჭერის მოყვარულებს,** რომ ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული საქართველოს სსრ შინაწყალსატევებში და შავი ზღვის აუზში თევზჭერის წესების შესაბამისად აკრძალულია:

1. ყოველგვარი თევზჭერა მთელი წლის განმავლობაში: ა) კაშხლებთან, ჯებირებთან და ხიდებთან არაუახლოეს 500 მეტრისა მათგან; ბ) თევზსამეურნეო, ჰიდროტექნიკურ და სამელიორაციო სისტემის მაგისტრალურ და მიმყვან არხებში; გ) მდინარე შავწყალაში და მდინარე ხრამში სოფ. ლეჟბადინიდან წითელ ხიდამდე; ე) მდინარე მტკვარში სამგორის სარწყავი სისტემის მე-5 არხიდან აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე, მდინარის ამ უბანზე დაშვებულია ჭერა ერთი ნემსკავიანი ანკესით; ვ) ტაბისწყურის ტბასა და ხრამის წყალსაცავებში, რომლებშიც ტარდება თევზის მომრავლებისა და აკლიმატიზაციის ღონისძიებანი;

2. ორაგულის ჭერა ყველა მდინარეში შენაკადებით, რომლებიც ერთვიან შავ ზღვას საქართველოს სსრ ფარგლებში;

3. ზუთხის ჯიშის თევზის ჭერა ჩანგლებით მდ. რიონში შენაკადებით და ყველა სხვა მდინარეში;

4. მდინარეებში ხელოვნური ორმოების (ორხების), ფაცერების, ოსარობების, დაგუბების და გადაღობვის მოწყობა;

5. თევზჭერის მიზნით ფეთქებადი და მომწამვლელი ნივთიერებების, ელექტროდენის, ჰვილთის და აგრეთვე თევზის მარაგის მომსპობ სხვა საშუალებათა გამოყენება.

სასპორტო და მოყვარულთა თევზჭერა პირადი მოხმარებისათვის (გაყიდვის უფლების უქონლად) ნებადართულია ყველა მშრომელთათვის: 1. ბადურებით, კიდლებით, რგოლებით დიამეტრით ორ მეტრამდე და ხელით ასაწევი ბადეებით (ობობურებით) მისი გვერდის ზომის არაუმეტეს ორი მეტრისა, ყველგან, გარდა აკრძალული ადგილებისა, შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეებისა და აგრეთვე თევზის ჭერისათვის აკრძალული დროისა — 1 მაისიდან 31 აგვისტომდე;

2. სასროლი ბადეებით, გარდა შემდეგი მდინარეებისა: კინტრიში, ენგური, კოდორი, გუმისტა, შავწყალა, ბზიფი და ფსოუ — 1 აგვისტოდან 30 აპრილამდე;

3. ერთი ნემსკავიანი ანკესით მთელი წლის განმავლობაში, გარდა აკრძალული ადგილებისა, ტბებისა და წყალსაცავებისა, რომლებიც მიმაგრებულია თევზმომპოვებელ ორგანიზაციებზე;

4. ერთი სპინინგით მთელი წლის განმავლობაში, გარდა აკრძალული ადგილებისა, ტბებისა და წყალსაცავებისა, აგრეთვე შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეებისა;

5. შავ ზღვაში ხელით ჩასაშვები ყველა სისტემის და დასახელების ანკესებით, არა უმეტეს 10 ნემსკავისა ერთ ნავზე, აგრეთვე ერთი სპინინგით;

6. „სამოდურებით“, არა უმეტეს 10 ნემსკავისა ერთ მეთევზეზე, მხოლოდ შავ ზღვაში;

7. წყალქვეშა ნადირობა თევზზე ბარჯითა და ბარჯის მსროლელი თოფებით ნებადართულია აკვალანგების და სხვა ანალოგიური სასუნთქი აპარატების გამოუყენებლად. თევზსაჭერი ბადეების ფორების ზომა არ უნდა იყოს 20 მმ-ზე ნაკლები.

თევზის ჭერა შინაწყალსატევებში ნებადართულია ნავების და წყალში ჩასადგმელი კოფოების გამოუყენებლად.

**ერთი მეთევზე-მოყვარულის მიერ დღის განმავლობაში დაჭერილი თევზის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: შინაწყალსატევებში — 3 კგ-ს და შავ ზღვაში — 5 კგ-ს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაჭერილი ერთი თევზის წონა აღემატება დადგენილ ნორმას.**

**თევზჭერის წესების ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.**

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1967 წლისათვის მექანიკა-მათემატიკის შემდეგ სპეციალობებზე:**

1. **წარმოებისაგან მოწყვეტით.** მათემატიკური ანალიზი, ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული მექანიკა, დრეკადობის და პლასტიკურობის თეორია, ჰიდროაერომექანიკა, ასტრონომია და ციური მექანიკა.

2. **წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.** მათემატიკური ანალიზი, ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გამოთვლითი მათემატიკა, დრეკადობის და პლასტიკურობის თეორია, ჰიდროაერომექანიკა, ასტრონომია და ციური მექანიკა.

**ასპირანტურაში მიიღებიან** სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი ან სათანადო რეკომენდაცია, გაცემული უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს მიერ.

ასპირანტურაში შესვლის მსურველთა განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ფოტოსურათი, პარტიული და საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან ასპირანტურაში შესვლის რეკომენდაციის შესახებ, დიპლომის ასლი, მოწმობა ფორმა 6 (იმ პირთათვის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო გამოცდები).

**ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ** სკკპ ისტორიასა, ერთ-ერთ უცხო ენასა და სპეციალურ საგანში.

**განცხადებები მიიღება ა. წლის 1 მაისამდე.**

**მისაღები გამოცდები 5 მაისიდან 15 მაისამდე.**

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება** უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაში. **მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 1, ტელეფონი 22-11-02.

# ტელევიზია

**19 აპრილი**

18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ალიომას ნადირობა“. 18.55 — გადაცემა „ლენინი და გამომგონებლობა“, 19.15 — კინონარკვევი. 19.25 — მხატვრული პროგრამა, 21.30 — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის წინ. 22.00 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ჯანმრთელობა“, მიძღვნილი პედიატრთა პირველი საკავშირო ყრილობისადმი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის). 22.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 22.45 — გადაცემათა პროგრამა 20 აპრილისათვის. 22.50 — გადაცემა, მიძღვნილი თეატრის საერთაშორისო დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან).

**20 აპრილი**

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში. 10.40 — მხატვრული ფილმი „რესპუბლიკა შკიდი“. 18.00 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (გორის მუსიკალური სკოლა). 18.30 — განცხადებები. 18.35 — კინონარკვევი. 18.55 — გადაცემა — ახალი ტექნიკა სოფელს. 19.10 — კინონარკვევი. 19.30 — სიმონ ჩიქოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი გადაცემა. 20.20 — კინონარკვევი. 20.40 — კონცერტი. 21.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 21.30 — მხატვრული ფილმი „რესპუბლიკა შკიდი“.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04029

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.